




შ ი ნ ა ა რ ს ი

უყურნალის „ჯეჯილი“-სა

I ბუნების სურათი, — ლექსი ვაჟა-ფშაველასი . . . . .	3
II. მელიას ხრიკები (დასასრული) თ. <u>წაწიკაშვილისა</u> . . . . .	5
III. სამი გლახა, ლექსი მახსანელისა. . . . .	26
IV. გველი, — ამბავი ვაჟა-ფშაველასი . . . . .	27
V ხალხური ლექსი . . . . .	37
VI. დედამიწის გულის ამბავი (დასასრული) თ. მთავრიშვილისა	52
VII. სან-ბერნარდის ძაღლები ურეკლესი . . . . .	37
VIII ჰერში მოჩვენება (ან. რობბაკინით) თ. ზიარელი . . . . .	47
IX დედა (ანდერსენისა), თარგმანი ს. ღონღაძისა . . . . .	48
X ლომი და კურღლევი (იგავ-არაკნი ლესინგისა) თარგმ. ბაწნაძისა . . . . .	55
XI ბებერი მგელი — თარგმანი ბ. ღომინაძისა . . . . .	55
XII ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსები, ზმა, მათემა- ტიკური გამოცანა, აკროსტიხი, შარადა, რებუსი და სხვ. . . . .	70





# „ჯეჯილი“

საქმეაწვილო ნახატებანი

ეურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, გახდი ყანაო!...

ი. დ.

№ V

ვლიწადი მესუთე



ტფილისი



"А. А. А. А. А."

наименование учреждения

№

Дозволено пензурою Тифлисъ, 6 Сентября 1894 года.

---


У М

А. А. А. А. А.

Д. А. А. А.

1894

ბუნების სურათი.




ღემ იკლო, ღამე გადიდა,  
 გრილა. გაყვიტლდა ტყე-ველი.  
 ჩამოსდის ხეებს ფოთოლი.  
 ჰყვირის ბუ ღამის მთეველი,  
 დაწყნარ-დაღუმდა მდინარეც  
 გულით სიბრაზის მთხეველი.  
 აღარსად ტრედი ღულუნებს,  
 აღარც მერცხალი სრიალებს,  
 დამჰყნარ-დამდნარა ბალახი  
 ყვაეილიც არსად კრიალებს.  
 სულისა ლეგს, კვდება ზაფხული,  
 მხოლოდ ყელში-ღა ხრიალებს  
 და სუნი შემოდგომისა  
 მთასა და ბარში ტრიალებს...  
 მთას შუბლი მოუჰჰმუხენია,  
 უფრო გულ-გრილად დამდგარა.

ნამძინარეგს გავს ამირან,

თითქოს ამ წუთას ამდგარა,  
 დაწყნოილი აქეს თმა-წვერი  
 ჰშეგნის ჩართული ჭალარა.  
 რთვილსა დებს ღამეობითა,  
 დილ-დილ გორაევენ ნისლები,  
 მთის ყურებ შეკედლებულნი  
 გაჭირვებულან ირმები,  
 რადა მჰკლევდები, ზაფხულო,  
 უღარდელთ დარდი მოჰგვარე?!  
 ნუ დააგუბებ... ბუნებას  
 ცოტა ბალახი მოჰპარე!

მაგრამ რა? ერთსახეობა  
 არ არის სიბრძნის დარგია,  
 ზაფხულის შემდეგ ზამთარი,  
 კაცმა იფიქროს კარგია.  
 ბარში წვიმს, მთები დათოვლა,  
 ცხვარ-ძროხას ბეწვი აშლია,  
 დაფიქრებულა მწყემსიცა,  
 თითქოს სახლ-კარი დაშლია.  
 კახეთს წავიდეთ, ძმობილო,  
 მთაში ჭირს კეცა ძროხისა.  
 დროა, ჩაეცვათ ტყაეები.  
 კალთა ავკეცოთ ჩოხისა;  
 ბარად არ ჰყინავს მიწასა,  
 მალევე შრება თოვლია,  
 უხვადა ფითრი, ნეკერი,  
 თმა დაეარცხნილი მოლია.  
 ჭალას აფხიზლებს ხოხობი,  
 ფერდობს კაკაბი, გნოლია.  
 იაფად დაიკეცებით,  
 თან გყავდეს შეილი-ცოლია,  
 ხეწნა რად უნდა ერთგულ ძმას,  
 თავად წამოვა ბროლია.


ვაჟა ფშაველა



## მელიის სრიკები

(დასასრული)

სვინიდისის მსილეს.



ს ვერაფერი ნადირობა მოძივდა. როგორ შევრცხვი და თავი მომეჭრა, ფუ! — მოდიოდა მელია კსახე თავ-ჩაღუნული, მოსაუბრობდა და თან აფურთხებოდა. — ამისთანა და-რბაისელი, მიღებული კაცი შევრცხვი, გავეზილდი, რაღათ ვარგა მელია, რაღა ხმის გასაცემია. ლა-

მის ბეწვები გაცვივდეს სირცხვილით. აბა, ამ ტიტველს მუცელმა რა მიყო. ამიტომ არის ნათქვამი „მძიმედ იყავ, წონაში მეტი მოხვიდო“. მე კი ასე გავიმსუბუქე თავი. რა კინდა შენ, ჩემო თავო, ეშმაკს ძეუჭამია, ვინ მოატუეებს შეხვენებულ ჯაფარსსა. ახლა სომ მახვსაც ველარ დავენახვები, რა თვალთ უნდა შევხედო. — ძალიან ფიქრებში იყო მელია. სირცხვილით ოფლი წურწურით ჩამოდიოდა.

— ეჰ, რაც იყოს, იყოს. „გატყნით, გამაგრებითა

ხმაღმა ბედენად არ გაჭრა, გატყნისა ვაჟისა უორანმა ლეში არ ჭამაო“, ფიქრი არ არის. იმაგრებს გულს მელაბ.—ჭირსა არ უნდა გატყნა, თუ კაცი გონიერია, წავა და ვეკლავან დარჩება, ქვეყანა განიერია. რაო, არ დამიტყვს ტყე და მინდორი!? მე თუ ასე დარდს მივეც თავი, ნეტავი ჩემს ცოლ-შვილს, რაღა უჭირს! ძალიან შევეპყე ბი ვიდაც მაჩვსა და ბოლოჭრელს ქურდ-ბაცაცა, სხვისა კვერცხების ჭეძია ჩსიკვსა! მესი კი დავათსლიძე იმ ქურდს თავსე! იმისგან მე დავიცინებო! შვილები არ დამეხოცება, იმის სორცი არც კი იჭმება. რა ჭამდენ მაგის სორცს, მონადირეები რას გაუშვებდენ, აქამდე კი მაგრე არსეინად ვერ ივლიდა. ვინ შეჭჭამს მაგისა, კაჭკაჭისა და ვეავის სორცს! უკაცრაული ქართულია, კატაც კი არა კადრულობს, რა სადმე ნახოს, ახლა თავის მოწონება ნახე და! რა ოხრებია, შიშველა ფეხით მიწასე არ გაივლის, გლახა ამხარტავანი! მეღია იმართლებდა თავს, ცდილობდა გასამართლებელი სარჩული დაედო თავის საქციელისთვის, მაგრამ ძალიან ცხოვლად ახსოვდა ეკლებში გაბმა და წუსანდელი მარცხი.

ვინ იცის, იქნება დაიჯერეს კიდევ იმათ, რომ მე უცაბედი მომივიდა და იმიტომ გავები ეკლებში. ჩსიკვისთვის სომ კბილი არ წამივლია, რომ ზირში ბურთი ჩამხაროს, შენ უეჭველად ჩემი შეჭმა გინდობო. მაჩვს მე თვითონ დავაჯერებ ჩემს სიმართლეში.

## II

ჩ ს ი კ ვ ი ბ უ ღ ე შ ი .


ჩსიკვი კი სულ სხვანაირად ფიქრობდა. იმან კარგად



გაიგო, მელიას რაცა ნებაჲდა, შიშით ახლაც კული უკან-კალებდა, მაგრამ ჯავრის ამოურა უნდოდა თუ არა? თუ მავ მელიას ჩემი დაწოკება შევარჩინე, რაღა კაცი ვიქნები, ვეელა ზედ შემდგება მერე უფრო; ზირდაზირ შემბა კი არ იქნება, ხელდასეღ რომ შევებრძოლო, ვერ მოვერევი, ვაი თუ გამბდღვანს და მერე უფრო დავხარბლდე. ტუუილად არ უოქვამთ: „ჭკუამ მოჭ მა ქვეყანა, ვერ ხმაღმა ამოდებულმაო“, ისეგ ეშმაკობით მოვექცე, ისა სჯობია, არ შევატეობინებ, თუ ვაცი რამე, სიტყვას გადუკრავ, ვითომ ეჭვი სრულებით არა მახვს მელაზე, დაიჯერებს ის უბედურიც. მერე თვითონ მოვასერნებ, რაც უნდა.

ჩხიკვი ასე ფიქრობდა და ბუდეს არა შორდებოდა, მელიის მოსვლისა აღარ ეშინოდა, სხვისა კი აღარავისი ფიქრი არა ქონდა. ან კი ბუდეს თავს როგორ დაანებებდა. — უნდა დავახქარო ბარტყების გამოჩეკა, სანამ საზრდო უხვია, დავხდი დავაფრენ და მერე სადაც მინდა, წავაღ, ახლა სისუღელე იქნება ჩემგან ბუდის თავის დასებება.

ზის ჩხიკვი არხეინად, იქექება და აქეთ-იქით იხედება, სან ქვეშ იოფს ნისკარტს და ურევს კვერცხებს. თუ ცაში არაფერი ჩანს, დედამწაზედ არავინ დადის, ფეხის ხმა და ფრთის შრიალი არ ისმის, ჩხიკვიც მოსვენებით, ძმაუად ზის, არწივივით ელმოღერებული. თუ ცაში ქორი ტრიალებს, მერა ქარს ელანავს, ან შევარდენი კივის და ან არწივის ეეზა დაწედა, მაშინ კი... ნულარა ნახავთ ჩხიკვსა. დემერთმანი საჭირო არ არი, აბა, რად კინდათ, რომ ახლა არ დაინახოთ. ჯერ სულ შიშით ქრება, ბუდეს ფარატინივით



ეკერის, თავს მხარზე იჭუჭკავს და ცალი თვალით ცასხ  
ხვრეტს. რად გინდათ, რომ უფრო შეარცხვინოთ.

— თუ სადმე ახლო-მანლო მიწასე ფენის ხმა მოე-  
სმა, მაშინაც სულ სხვანაირად იცვლის ნიღს. წამოდგე-  
ბა ბუდეში, გადმოყოფს თავს და დაშტერებული უცქერის,  
ვინ მოდისო. თუ ან ძროხაა, ან კამეჩი, ან ცხვარი, ან  
მაჩვი, რაღა, იმისთანა ვინმე, ვისაც ხეზე ასულა არ შე-  
უძლია, ფრენა არ იცის და თოფისა და ქვის სროლის  
არა გაეგება რა, ჯაფარს გულდამშვიდებით უცქერის, თვალს  
ადევნებს იმათ მოქმედებას, ხან კიდევ იცინის, თუ სასა-  
ცილო რამე დაინახა, ზოგჯერ შეებაასება კიდევ, გამოე-  
ლანანარაკება დაზბანსლური კილოთი. თუ თავგია და ფო-  
თლების შრიალთ ჩხიკვს მეუდროება დაურღვია, მაშინ  
ნახეთ, გადმოუსტება და თუ დაეწია, მკონი, ვეღარავინ ვე-  
ღარ გააგდებინოს, სკერტავს და ურახუნებს საბრალლო გო-  
გრანში, მაგრამ თუ თვალი მოკრა, რომ თოფიანი ბიჭი  
სადმე გადმოხტა და თოფი გადმოატრიალა! ისეთი ჩხი-  
ვილით მოკურცხლავს, გულგანსეჩილი, ბურმგლ-აშლილი,  
რომ ვისაც ის წინათ გინახიათ, ახლა სიცილით მუცე-  
ლი გაგისკდებათ, სად მირბი გპირო? სად მირბი, სად  
დაგრჩა შენი გპირობა?!

ჩხიკვმა ბოლომდის არ უღალატა თავის ბუდეს, გუ-  
ლიც გაიმაგრა, თვითონაც იჯდა მაგრა, გამოჩიკა სამი-  
ოთხი გინგლიანი ბარტყი, დასარდა და დააფრინა. რაკი  
ბარტყები თავიდან მოიძორა, თავისუფლად ამოისუნთქა.  
ახლა რაღა უჭირს. სადაც დაუღამდება, იქ გაათენებს,  
სადაც ერდო მალაღია, ეს იმისი ძაფარია. ახლა ბუდეც

აღარ აღარღებს, ჩსირებს სომ ვერზინ შეჭამს და შიკ კი არაფერია.

— ის ოხერი ძელია რატომ აღარ განდა, მახვო, რათ შემოგვწერა, ნეტა რცხვენია თუ ეშინია. იმასა გონა, რაკი აქ აღარ მოდის, იმით დამავიწედება იმისი საქმე. კაი ძმობილი არ მიძოვე! კაი მეგობრობას კი გამოიწვედა, რომ კბილებში ჩავარდნილვიყავ.

### III

#### ნ ა დ ი რ ე ბ ა .


შემოდგომა. წვრილი ცივი წვიმა, თითქოს საცერში ცრიანო, ისე ჟინჯლავს, მინდვრის მცხოვრებლებს ძვლები უკანკალებს. გაუვალი ტალახი საქმეს აჭირვებს. საფხულის სტუმრები სულ მიძალუღ-მოძალუღან, აღარავინა ჩანს. დაცარიელდა მინდორი, დაცარიელდა მელიას მუცელიც. სამი დღეა არაფერი უჭამია; შიმშილით ფერდი ფერდზე მიეხრავა.

— ნეტა იმდენი მწერები სად ჯანახას წავიდენ. რა ცოდვა გაუდიდდათ. ნეტავი ერთი კალია მანც იჯდეს სადმე, რომ თვალთ მანც დაინახოს.

თავზე რო ფრინველები გადევლებოდენ, ძელია სულ ქრებოდა სიმსუნაკით. — ახ, შე ოხერო მამალო, მაგრე შორს რო ევი, ზატარა ახლოს მანც იყო.

ქარი სოფლის მხრიდან მოქროდა და გარკვევით ისმოდა მამლის გაგრძელებული „ეიელიუოოო“, თითქოს ძელიას მადან დაცინისო.

შენედე ამ მინდორს! მარტო ძელია დაბმანდება. რაღა



ამას ერგება სოღმე მარტოკა მინდორში თრევა, ერთი ხმის გამცემი არავინ არის. რა გუნებასე უნდა იუოს, ცალკე მუცელი შემოტირის, ცალკე ქოშები რჩება ვერანა ტალახში. ხან ერთი ჩარჩება ტალახში, ხან მეორე. ამოიღებს ერთს ფეხს, გაიქნევს, გაიბერტყს. მოაშორებს ტალახს, ახლა მეორე ესვრება.

— უჰ რა ცუდი ამინდია! დალახვრა ცსრა წმიდა გიორგიძე! მშიერი მანც არ ვიყო, ტალახს ვი იჩივლებს, არც ქურქი მაქვს მშრალი, ლამის საუელო გამიფუჭდეს. ტუპვი სიცვიით შედ ძვლებსე მიძეკრა. მაძლარს რო გუელიც მხიარული მაქვს და სისხლიც ადუღებული! გუნებასედაც მაშინ ვარ, როცა ცხვირსე იხვ-წეროებისა, ან ქათამ ინდოურების ბუმბულები მაკრავს და კბილებში თბილი სორცის ნაგლეჯები მხრია. ახლა რა უნდა ვქნა მძიერმა? კაჭკაჭმა რო გაბედოს და შეძებას, ისიც კი შეძჭამს. აბა, რაქნა? თავსე მტირალი ცრემლანამიანი ცა, ძირს მიშველ-ტიტველი, ტალახიანი მინდორი, შედ მშიერ-მწუერვალნი მონადირე!..

ახ, ახლა!.. რა ახ? განა ერთს რასმე ნატრობს მელია, ვეელა საჭმელსე მუშტის ტოლა ნერწვევი მოსდის.

წარმოიდგინეთ კალიებიც კი ანატრა, კალიები, აბა! ვაი ჩვენს გაჭირვებას, მაშ არ ინატრებს? ინატრა და ორი და სამი? სულაც არა კარგა ბარაქიანად ინატრა, — მთელი ერთი წამოსაკიდი გოდორი.

არც არჩევანში შესულა: კუტი, მხრისანი, შავი სტუნიანი, ვეელა იქ მოაქცია, ვეელას მადიანად გიანსლებოდათ, რომ სადმე იუოს.

მოდის მელია, ხირგვებში იხედება, ქვების ქვეშა უოფს ცხვირს, თაგვის სორვებს თხრის.

— ეველანი არ დაკარგულან, თითქოს სორველობა იყო, ან ძტერს აელხროს! — მინდორი კი ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ მელიის მუცელში კი შიმშილის უძველებელი ლაშქარი დათარეშობდა.

მელიამ ღიებს გადუარა. სადაც წინათ იხვეები ენახა, ახლაც იქვე ეგულებოდა. მიიზარება მელია, მიიზარება მუცელზე ღიას ზირამდე, მიცოცდა, ფრთხილად შედგა და გადისება. გადასაფრენადაც ემზადებოდა. ფუჭ! არსად იხვეები. ერთი ბაყაყიც კი არსად იფიქებოდა.

— ფუი! ფუ! იფურთხება სევსურივით მელია.

ამ დროს თვალი მოჰკრა, ჯაკებში რაღაც გაძერა. რა უნდა იყო? ნეტა ვინ იქნება?!

თუ ეურბელი და ეურბტეელი კურდღელია, — საა-მური ძესავრი მეოლებს. მელია დაშტერდა იმ ადგილს, იქნება მართლა საკბილო ივეეს რამეო, მაგრამ იქ ველარავინ შენიშნა.

გამობრუნდა მელია გაწუწული.

ახლა ჩაღიან რუებს შეევა. აქაც კადმითა ნაზირსე თითქოს გაფრინდა რაღაცაო, ისე მოეჩვენა.

— თუ იხვი იყო?

— არა, აფრენაში მხრებს გაატკაცუნებდა.


— თუ ბატა იყო?

— არა, ეივინით გაფრინდებოდა.

— წერო თუ იყო?

— არც მაგრე ზატარა გამოჩნდებოდა.

არა, სხვას გავდა რაღაცა. ჭრელად მოეჩვენა, თითქოს



ენასა წინათ სადღაც, აკონდებოდა მელიასა და ვეღარ მოეგონა. ბოლო კი ჭრელი უხანდა.

— ეჰ, რაც უნდა იეოს, ჯანი და სული წაუვიდეს, საჩემოდ არავენ განდება, ჩემო ძამია, სადაც უნდა წავიდე, ეველა თავის გზას მიდევს.

შეუვა მელია ნელ-ნელა ჭაობიან რუსა...

— ოჰ შენ გენაცვალე, ბედო!

— ღმერთო, შენ მიეც მოთმინება მელიასა, რომ სინარულით არ შესტეს!

— რამდენი კახაკელი წეროა რუს ჰირსე, ღმერთო მადლო!

ზოგს ბოლოები ჩამოუშვია, თითქოს ურემი დაბოლოებულაო, კისერი ჩაუკეცია და კინწი მოწვევტია იმათ უეჭველად მინავთ. რუსის დაშნებივით რო ნისკარტები ჩინჩახვსე დაუკილიათ, ზოგი ჭენერალივით არსენად დაბმანდება ევითელ შალვაზრანი ჭაობებში, აქა-იქ ტალახნიდან აძრობს რაღაცას და გემრიელად მიირთმევს.

— მეც რატომ ვერ ვპოულობ, რასა ჭამენ ეკ ვერნები, ფიქრობს მელია, ზოგსაც თავები აუღიათ მადლა, კისრები აუძაგრიათ და ყარაულივით იქით-აქით იცქირებიან.

— ეგენი დარჩაჯების ნამდვილად, იფიქრს მელიამ.

— არა ესლანა საქმე და ბიჭობა! თუ ახლაც ვერ ვინადირე, მძიერი მოვკვდები.

— მიძითა და სინარულით მელიას სული შეესუთა, გულმა და მუხლებმა კანკალი დაუწიეს. გული ისე უცემდა, რომ მელიას კიდევ შეეშინდა, იმათაც არ გაიგონ ჩემი გულის ბაგა-ბუგო.

შედგა, გაწვა მიწასე, ჰატარა სული მოქცია, კული დამშვიდა, მერე ნელ-ნელა იწყო ადგომა.

ღარაჯმა წეროებმა თითქოს შენიშნეს რაღაც საშიში მოძრაობაო. შემწუნებული ხმაურობა გააბეს. ერთმა კიდევ წამოიყვირა „ერუნტ!“

ამ ხმაზე ვისაც ეძინა, იმათაც თვალები ჭერიცეს.

მელიას არ შეშინდა, თავისი კუდი ძაღლს აიშვირა და წვერი მოუხარა, როგორც წეროს თავი და გაემართა წეროებისკენ.

წეროები დაკვირვებით შეცქეროდნენ ამ ახლად მომაგალ წეროსა, მაგრამ ძაღვ მოსწეინდათ იმისი ცქერა, ძაღიან საკვირველი არაფერი იყო, მხოლოდ ფერი ქონდა სწვანადირი, როგორღაც და ხმასაც არ იღებდა. იქნება მებაუაუიაც იყოსო, იფიქრეს და ძილს მისცეს თავი, მხოლოდ ერთმა იკითხა, რათ გაგვაღვიძეთო.

— რა იყო, რაზე დაგვაფეთიანეთ. რა მოხდა, რომ გაგვაღვიძეთ და აღარ მოისვენეთ?! შეეკითხა ძრისხანე კილოთი ერთი ძაღალი და კონტა წერო ვარაუღს.


— არაფერი, თქვენო უდიდებულესობავე, უზახუნს და-რბაისლურბდ ღარაჯმა. აკერ იმ შორს დარჩენილმა წერომ დამაფიქრა.

— მაგისტანსა უბრალო საქმისთვის კვლავ ჩემი გაღვიძება აღარ ინებო. უბძანა ქუსლმაღაღმა წერომ.

კილოზე ეტეობოდა, რომ წეროების მეფე იყო.

მელიას ცდილობდა, რაც შეეძლო წეროს დამსკავსებოდა ქცევაში და მიმოხვრაში.

ვითომ წერო ვარო და ვკენკავო, მელიას ხან ასწევდა კუღსა და ხან დასწევდა. კუდის წვერს წებაში ეოფდა.



რომ ეჭვი არ აეღოთ, სოკჯერ ერთს ადგილს კარგა ხანს ჩერდებოდა და უქნევდა კუდს ნისკარტივით ჭობსა, ვითომდა ბევრი საჭმელი ვიზოვე და ვჭამო. იქნება ღმერთი გაუწერეს და ერთ-ერთი ღარბჯიც გაბრიუვდეს და მოძეპველოსო. მართლაც ეს გარემოება ყარაულებს შეუნიშნავი არ დარჩათ.

— ახ, ერთი ახლო იუოს, მივეძველო, ფიქრობს ერთი წერო, იქ იმან ბლომად იძოვა რაღაცა და ლამის გაძდეს, მე ყარაულობაში მუცელი შიშხილით უნდა შეძენსო, ძალიან არ დაინახვენ!

მეორე წეროც წამოველელებდა, სულმა წაძლია, ორიოდ ფეხიც გადმოდგა მელიასაკენ, მაგრამ ზირველმა წერომ შეუტია და შეაყენა.

შენც რო არ წაეხარო, ჩვენ კი ვეღარ მოვერევით, ხომ ხედავ, რომ მეც იქ მიგდივარ, რა არის შენი სიმსუნაკე, მუცელი შენს ქვევით არის, შენს ზევით ხომ არ არის. ყარაული ხარ, შენს ადგილზე უნდა იდგე, თვალი ფხისლად გეჭიროს. არაფერი მოგვეპაზროს.

მიდის წერო თანაბარი ნაბიჯით მელიასაკენ. ჯონივით ფეხებს ძოუნრელად ხან ერთს აიღებს და ჩააყუდებს ჭაობში, ხან მეორეს. უახლოვდება მელიასა. მელიას სიამოვნებისაგან კინაღამ მახაროვით გადნა. წეროს სულის ქცევა თითქმის ესმის, იმის თბილი ამონახუნთქი ცხვირში შედის. მახრისა რო ყოფილიყო მელია, უეჭველად გადნებოდა, მაგრამ რაკი სორციელი იყო, უტკივარი და უვნები იმიტომ გადარჩა ეშმაკის მანქანებსა.

ერთი წერო თუნდა ორ დღეს მეყოფა, არ შეინახება თუ? — ღმერთმანი, წახდება თუ ამ შემოდგომის სიცვიეში? ნე-



ტავი ერთი ათიოდე წერო მომცა, მუჟუჟად ჩავლო და მე-  
რე წახდეს! ფიქრობდა მელია...

ეჰ, წუთისოფელო, ცრუო და ორზირო, აბა, ნატვრო  
ვის ახდენია, მელიას ახდენოდა.

ამ დროს... ჩხს, ჩხს, ჩხს! მოესმა გარკვევით მელიას.

— ფუი, დასწევვლა ღმერთმა, ეს ჩხიკვი საიდან გა-  
ჩნდა! შენი ფესიცი გამძმარა და აქ ამ დროს არ გაჩე-  
ნილიყავ! მოწედა წელი მელიასა. — მოგტედა ფესი, მო-  
გტედა მხარი, კენესოდა მელია.

— ჩხხხხ. გააბა ჩხიკვი წეროების თავსე და მიკ მე-  
ლიის ცხვირ-წინ მადლობ გორაკსე წამოჯდა.

წეროებს ეველას გაედვიძათ და წამოიყაუვენ.

მელია მუხლებში ჩაიკეცა

— გამარჯვება მელიავ! როგორ მშვიდობა თა ბმანდე-  
ბი, მობილო, რამდენი ხანია აღარ მინახევხარ და აღარც  
შენი აბზავი რამე ვიცი. რათ დაგვივიწეე შე კაი კაცო?  
განა, მაგრე უნდა მეგობარსა? შენ ხომ იცოდრი ჩვენი ბი-  
ნა? იცოდრი, რომ ჩვენ ადგილობრივა ვართ, მოხვიდოდრი,  
დაგვსედავდრი ერთხელ მაინც. ჩვენ კი ვერ დაგვემდურები  
ღვთის მადლით უნახაობას. შენი ბინა არ ვიცოდრი და აბა,  
საიდან განახავდით. ახლაც უცებ შეგხვდრი, შემთხვევით და-  
გინახე, თორემ თავი არ მომიკედება, ეს ერთი თვეა გე-  
ძებ. რაც ბარტეები დავაფრინე, სულ შენს გზასედა ვდგე-  
ვარ. კაი ენაწელიანი რამა ხარ, შე კუდიანო, და ვწუხდრი  
შენი გულისთვის. მთელი ქვეყანა შემოვიარე, ვერსად შეგხვდრი,  
გავჯერდრი, გავჯერდრი. მეგრე არ ვიცი რამ მომაფიქრა, აქეთ  
წამოველ, არა რას მოვიფიქრებდრი, თუ შენ ამ ჭაობებში  
გნახავდრი, მაკეთი აზიხი ბმანდები, რას მოვიფიქრებდრი...



აქ რას აკეთებ მართლაც კაცმა კკითხოს, აჭა, თუ წურბე-  
ლებს არ ეძებ, შე ეძახე, დალაქობას სომ არ ავირობ.  
ბლომად წურბელები კი იქნება, ვიცე, მერე კუდსა ეოფ  
და სულ კუდი შეგეხორწლებს.

დარბაისლურად ეკითხებოდა მძრალზე მჯდომი ჩხი-  
კვი ჭყანტში მდგომ მელისას.

— ახ, შენი ფესი რა გახმეს და მოუსაფლეთს წახვი-  
დე, ამოიკენესა მელიამ.

„მელიაო!“ გაიგონეს თუ არა წეროებმა, ერთი კი  
დაიერანტალეს და ასეთი გულ-გახეთქილებმა მოცხრილეს,  
რომ უკან აღარ მოუხედნათ. იმათ კარგათ იცოდენ, მე-  
ლია როგორი დალაქიცა ბძანდება და სისხლის გამოშვე-  
ბა როგორც იცის.

მელიას ენა ჩაუვარდა, ხმა ვეღარ ამოიღო, საწვადი  
კანაღამ დამბლად დაეცა.

— რა იყო, მობილო, გეწეინა ჩემი მოსვლა, თუ  
რა იყო, რა ხმა ვერ ამოგაღებინე, უსაუვედურა ცბიერის  
დიმილით ჩხიკვამ. თანაც კარგად იცოდა რამაც მოწვევი-  
ტა წელი მელიასა და როგორს მობილობასაც გაუწევე-  
და ახლავე, თუ კბილში საიდანმე ჩაუვარდებოდა.

— რას გეწეინა, ძმაო, შენს ბარგად სომ არ გავხდე-  
ბი, ერთი მუცელი მაქვს, ზედა მაქვს, საჭმელი არ მინდა  
შენი და სასმელი. თუ მოვსულვარ, შენს სანახავად მოველ,  
სხვა აქ რა მესაქმებოდა.

ეს ჩხიკვი როგორ კადნიერად და ურცხვად დამ-  
ცინისო, იფიქრა მელიამ. დაბცქერდა მელია ჩხიკვსა, გა-  
უვარა თვალი-თვალში. მაგრამ ჩხიკვს ისეთი დაფიქრებუ-

ლი და დადინჯებული სახე ჰქონდა, რომ მელიამ ზედ ვერაფერი ვერ ამოიკითხა.

— დაგიჯერო, იფიქრა მელიამ, რომ მაგას ბუდის ამბავი და თავის განიბრეება დაავიწყდა. ვინ იცის ჯაჯრის ამოყრა უნდა და მაგრე ლაქარდინი ერთ იმით შექცევს. მეტიღა ჯაჯრის ამოყრა უნდა, ზირიდან ვამგლიჯა ერთი წერო. ათი-ათას ჩხიკვსა და იმის კვერცხებს არ მერჩია ერთი წეროს ბარკალი!? მეტადღა შეიძლება კაცის დაბრეუება!?

— ქონს ნუ მისვამ ბოლო-ჭრელო — ძაღლები მომიტაცებენ, — უზასუნა მელიამ გაჯაჯრებული კილოთი. თან ჩხიკვსე დარჩა თვალი, მაგრამ ჩხიკვს ამ სიტუვაზე ისეთი დადონებული სახე მიეღო შეურაცხყოფილისა, რომ მელიას კინადამ შეებრალა.

— უთუოთ ეგ კეთილი გულით მეუბნება და მე კი სიაკეში ვართმევო, გაიფიქრა მელიამ.

## IV

### წასვლა ჩხიკვის ქვეყანაში

ამას შემდეგ რაც მოხდა, ეგ ცალკეა მოთხრობილი მელიას მატიანეში. რადგან მე მატიანეს არა ვწერ, იმიტომ გამოვტოვე უველა წვრილმანი გარემოება და შემთხვევა; ახლა მხოლოდ იმას გაიმბობთ, რაც საუურადღებო მოხდა: საუურადღებო კი ის იყო, რომ ჩხიკვმა დააჯერა მელია, გულში არაფერი სინჯი არა მაქვს და არც ავსა ვფიქრობ შენსეო. რასაკვირველია, ჩხიკვი უამა

სამს საუურადღებო  
2  
სამს საუურადღებო

ბობდა მელიას თავის ქვეყნის ტკბილ-ტკბილ ამბებს, იქამდე აეგზნო მელიას ჩხიკვის ქვეყანაში წასვლის სურველი, რომ თვითონვე აღარ აცდიდა ჩხიკვსა, სულ ჩაჩინებდა, წავიდეთ, წავიდეთო. ამას კი ვიტყვი, რომ წასვლა მეორე საფსულამდე დაუგვიანდათ.

ბოლოს წავიდენ.

მეზავრობა ფრიად სასიამოვნო იყო. რაც თავის დღეში არ ენახა მელიასა, ახლა ნახა, რაც თავის დღეში არ ეჭამა, ახლა ჭამა. ძალიან გასუქდა მელია, ქონი თვალეებსე გადმოეფარა, სიმსუქნისაგან ისე ოფლიანდებოდა, რომ შიშიც შეეპარა გულში, ვაი თუ ნაოფლარზე ქარმა დამბეროს, გავცვივდე და ავად გავხდეო.

მაგრამ იმის წილი ღმერთი მთელი და უტკივარი იყო.

ისე მივიდენ ჩხიკვის ქვეყანაში, რომ ფრჩხილიც არ წამოტკივნიათ.

აღთქმული ქვეყანა ძან ქვეყანა გამოდგა, ერთი რძე კი არ მოდიოდა რუებად და სხვა კი არაფერი აკლდათ. ვინ მოთვლის რასა სუამდენ და ჭამდენ. არჩევანში შედიოდენ, ესა ვჭამოთ, ამას ნუ ვჭამთო, ჯერ ეს ჩავახრამუნოთ, მერე ამით ჩავიკემრიელოთ ეკლიო.

## V

მტრობა და შუკი.

ეკლს იკემრიელებდენ, მაგრამ ჩხიკვის გულში დალატა დაიბუდა, რა დაიბუდა, მელიის მშუღვარება ახრ-

ჩობდა, არა ჭქონდა მოსვენება, თავი კი ისე ეჭირბო თითქოს დიდი მეგობარი ვარ შენი და დიდი ერთგულიო. არ ვიცოდი ღმერთმანი მელიას სჯეროდა ჩხიკვის ერთგულება, თუ იმასაც გულში რამე სინჯი ჭქონდა, თორემ მელიას აბა, რა მტრობა უნდა ჭქონოდა ჩხიკვისა?

ჩხიკვის სიკვდილი მელიას არაფერ სარგებლობას არ მოუტანდა, აი, თვითონ თუ წაძლევადა სული და მოძიებული ჰირს წაატანდა, თორემ სხვა მტრობაზე კი შორს იყო.

სხვას კი არ მოაკვლევინებდა და თვითონ შშიერს, რომ მუცლისთვის ჰატარებ მიეწოდა რამე, რა უშავდა?

ჩხიკვის საქმე კი სულ სხვა იყო. იმან იცოდა, რომ მელიას ჩხიკვის შეჭმა უნდოდა ოდესღაც და კიდევაც წაეტანა შესაჭმელად, მაგრამ ბედისწერამ დაიხსნა ჩხიკვი ამ განსაცდელისაგან და მელიას მუცლის სილვისაგან. იცოდა, რომ მოძიებული მელია მუდამაც შეჭამდა ჩხიკვსა, იცოდა ესა და ბევრჯერ გაივლებდა ხოლმე გულში, როცა მელიას მძინარეს ნახავდა, მოდი მოვსწო ამ წუნკალის ხსენებამ, მაგრამ თვითონ მარტოკას შებმა ვერ გაეებუნა, სძალი არა ქონდა და ხანჯალი, თოფი და დამბახა. აბა, რით უნდა მოეკლა გათაუვა. ეელში ხომ ვერ წაუჭერდა. ხელდახელ მელია დაჭრევდა და დაიღუპებოდა ჩხიკვი. ბევრი რამ იფიქრა, იფიქრა და სულ ერთი ანდა-სა აკონდებოდა: „სერხი სჯობია ღონესო, თუ კაცი მოიკონებსო!“

## VI

სოფლად.

იცო, მელიავ, რა გითხრა, მე ქათმის სორცი მოძინდა, კარგა ხანია წიწილის სორცი აღარ მიჭამია. იცო, სოფლად რომ ჩავითარებოთ სოფლე, იქ ძალიან ბევრს მსუქან-მსუქან ვეგრეულებს და დედალ ვარეებს ვიძოვით. შიში არაფრისაა, ერთი გავუბედათ, ის გვინდა, სხვა არაფერი... სოფლად ქათამ-ინდაური სულ ოხრად არის, საქათმოს კარებს არა კეტენ, კრუს-წიწილები კარებსე სხედან, ჰატრონი არავენ არის. ძაღლები ცხვარ-ძროხასთან ჰყავთ, მკლისთვის. ჩვენ მსხვილ-ფეხი რად გვინდა, წვრილ-ფეხობაც გვეყოფა, თუკი კარგად მოვიქცევით.

ჩხიკვის სიტყვებმა მელიას ძადა აღუძვრეს. მაშინვე ხეხე წამოდგა, წასასვლელად მოემზადა.

— მაშ რაღას ელი, კაცო, თუ კი მაგისთანა ლუკმა იცო სადმე, ამ ეკლებში რაღას მახევენებ ქურქსა, მე მაგანათლებულო! აბა, მხათა ვარ, წავიდეთ.

— მოიცა მელიავ, მოიცა ჰატარასანი, მხემ გადაიწიოს.

მხემაც გადიწია. მელია და ჩხიკვი დაემკენ სოფლისკენ.

სოფლის ახლო რო მივიდენ, მელია შედგა, ეური დაუკდო, ძაღლების ეფვა სომ არ ისმისო.

ჩხიკვს კი ძაღლისა არ ეძინოდა. ხეებიდან ძირს ადგილად არ დაადგამდა ფეხსა. ჯერ ჩხიკვი დახვეწრაკდა. მერე მელიას შეატყობინებდა.

ზირველადვე ერთს ბაღში გადავიდენ. დაუკლო მელიამ უკრი. ახლო, სულ ახლო დედლის კაკანი ისმის. მელიას გული უფანცქალებს. ერთი თვალით მინც დაინახოს ეს მოკაკანე კვერცხის მღებელი. გადმოძვრს სიმინდებში. წაძვრს ცერცვებში. სკუპ! დაავლო ზირი დედალს, დედალმა ერთი კი დიჭყვივლა და კაკმინდა ხმა. გადმოსტა მელია და მოძუძვა ტუისკენ.

— კარვისაა, მელიავ, ეუბნება ჩხიკვი.

მელიას ბევრი აღარ უსმენია, კაცდა თუ არა სოფელს, მოუარა ჩირკვებს, დაუჯდა დედალს და მიირთმევს.

— მომეშველე, ჩხიკვო, შენც. ჩხიკვს უნდოდა მოეთმინა. მაგრამ სულმა წაძლია, დაჯდა ისიც მელიასთან. მელია კბილით გლეჯს დედალს, გაუღეჭავს ელანავს, ძვლებს აუნატუნებს, ჩხიკვიც ცემს ნისკარტს, მაგრამ ბუმბულის მეტი არაფერი რჩება ნისკარტში.

— მე ხომ დავიწვიე დედალზე და რა მენადვლება, ფიქრობს მელია. რაც შენ ამ დედლის ხორცი შეჭამო, მე ძაკლდეს. თან გულიანად ელანავს.

— მოიცა შვილოსა, მეც მომივა დრო, ფიქრობს ჩხიკვი.

ამ ნაირად მეორე დღეს, მესამეს, მეოთხეს, არც ერთხელ არ მოკლებიათ ქათმის ხორცი. დერეფნიდან კრუხიც წაივანეს. ჩხიკვმა წიწილა მოიტაცა საკუთრად... იმათი გაბედულობა იქამდინ მივიდა, რომ თვითონ საქათმეშიაც დაიწვეს შესვლა.

ზატრონმა მოიკითხა ქათმები. ჯერ მესობლებს დაბრალა—ესენი დაიჭერდნო. მერე ქორსა. მერე საქათმოდან გა-



ევანა ძაღლებსა. მელია კი ავიწუდებოდა. არ იცოდა თუ მელია ჰარავდა, სანამ თვალი არ მოკრებ იმის კუდსა.

— ახლა კი მე ვიცი შენი, კაბაფურთხა ჰატრონმა, კამობრუნდა და გამოსწია სახლში. ამას შემდეგ კარებს კეტვა დაუწყო, მაგრამ მელიამ და ჩხიკვაძე ძირი გამოუთხარეს საქათმესა და ახლა იქიდან იწვეს ჰარავა.

— ახლა კი საკმაო წარბალი მივეცით ამ გლეხს და კარვა აღრენილიც იქნება მელიასზე, თქვა ჩხიკვაძე, დროა საქმეს შევეუდგე.

## VII

ღ ა ჯ ა ტ ი.

დამჯდარს დაღონებული ჩხიკვი გლეხის კარვა წინ სარსზე, ჩამოუშვია მსრები და ბოლო, თავ-პირი ჩამოტირის. თანაც ოხრავს.

— რას დაღონებულხარ, ჯაფარ-გმირო? ეკითხება გლეხი. აქ რათა წიხარ, არ გეშინია, ბავშვებმა ქვა მოგარტყან?

— იჰ, გენაცვა, ნეტავი მომარტყან, მოძკლან და მომასვენონ. რაც მე საცოდაობა დამადგა, რაღათ მინდა საცოცხლე, ჩემი სიკვდილი მაღლიც არის.

— რა ამბავია, რა დაგმართნია, შე საცოდავო, ეკითხება გულმტკივნეულად გლეხი.

— რაღა რა, ჩემო ძმაო, იმ წუთულმა მელიამ ამიკლო, დამღუპა, დამანელა, აი, აქ შენი საქათმე რო გააცია. უზოგენია ჩემი ბუდე, გაძიტეუა მე სსვავან, მისულა,



სულ ამოუსლექია. მიველ, ჰირს კატა მეცა. ბარტყებს ვინა ჩივის, მეც კინაღამ შემჭამა, უკან დამღევს ძაღლივით, შესაჭმელად. თუ შენ მიშველი რასმე, თორემ ადარ არი ილაჯი. მიშველე რამე, ავრემც ღმერთი გიცოცხლებს ცოლშვილსა. იმან დაგლუზა შენც, იმ კარ-ამოსაქოლავმა. შენი ქათმების ბუმბულისა სამ-სამი ბაღიში შეუკერია, ქალებს უნდა გაატანოს მხითევში.

— მეც ჯავრი მჭირს, ჩხიკვო, იმისი და თუ როგორმე ხელში ჩამიგდებ, მერე მე ვიცი, რასაც ვუხამ.

— მე ხელში მოგცემ მელიასა და შენ იცი რასაც უხამ.

— აბა, როგორ?

— საქათმის კარი ღია გაუშვი, კედელში რო გამო-სვრეტილია, ის ქვებით გამოჭედე, შენც შიგ დამიძლე. მე მოვიყვან მელიას. მოუსურე კარები, დაიჭირე და მოკალ. თუ ვინიცობაა სულზე გაიგო შენი იქ ყოფნა, მე შემო-უძღვები წინა და ისე კი არა ქნა, მეც არ დამიჭირო.

— უჭ, ცხონდა მამაშენი ჩხიკვო, რა ჭკვიანი ყოფი-ლხარ. თუ კი მაგისტანა სიკეთეს მიხამ, დაგიჭერ კი არა, ჰირიქით მრავალს დაგიძაღლებ.

## VIII

ბ ე ლ ი ა .

ბნელა, სოფელს ძინავს. ცნობილი გლეხის ბაღში ცნობილი ჩურჩული და ნელი ფოთლების ფაჩი-ფუჩი ისძის.

— სადა ხარ, ბოლოჭრელო, შენ რა ეკლები შეგე-  
 რჭობა ფესში, არსეინად დაფრინავ. მიჭირს მე საქმე, რომ  
 აძღენ ეკლებში ვიკაწრები. აბა, ერთი დახვეწე, მინავს სა-  
 ქათმის ზატრონსა?

— მოდი, მელია, მოდი ჩქარა, ვეელასა მინავს, ფი-  
 ქრი ნურაფრისა გაქვს, დაბლა კი ილაზარაკე სიფრთხი-  
 ლეს თავი არ ატკივა.

— ვინ იცის დაკეტეს საქათმის კარი, საწუინადი  
 მხარი მეუბნება.

მელია და ჩხიკვი თაკვებოვით მიცოცდენ საქათმეთან  
 მელია ისედება შორიდანვე, თვალს ავლებს გარემე-  
 მოსა, ეურს უგდებს, ხმაურობა ხომ არაფერი ისმის.  
 უცებ ცხვირში რაღაც ეძწავა. მელია კინაღამ გადმოხტა.  
 რა მოხდა, რა იყო?

რა იყო, და ისა, რომ მელიამ სული დაიუბრა კა-  
 ცისა.

— ბოლოჭრელო, უკან დაბრუნდი, უკან, სად მიდი-  
 ხარ, ხათაბაღაში არ გაძახვიო, მანდ ვიღაც არის დამა-  
 ლული, ეხურხულებს მელია.

— რას ამბობ, მელიავ, შენ ხომ ჩემსე კარვს ვერა  
 ხედავ, მე უფრო მაღლიდან არ დაუცქერი, მოდი ახლო,  
 მოდი, ნუ გეშინია. ჩქარა მოვიტაცოთ და მოგკურ-  
 ცხლოთ.

მელიას ცოტა არ იყოს შიოდა, ცხვირს აღარ დაუ-  
 ჯერა, გასწია კარებისაკენ. რას მიზამენ, ფიქრობს მელია,  
 თუ კარებში მომასწრეს, კედლის ქვეშ რომ ხვრელი გა-  
 მოვთხარე, იქიდან გავძვრები. ბრალი ჩხიკვისა, რომ შე-  
 იძლება საშუალოდ გამოძეთხოვოს.

შეფრთხილდა ჩსიკვი საქათმეში, შეევა მელიაც. აჩქარებულს მელიას იქით-აქეთ არც კი მოუხედნია, ისე უცებ ქანდარასკენ გაქანდა.

ჭეე! ჭეე! მოისმა ქათმის ჭეივილი.

ჯანს! მიეჯანსა რბაც კედელს. მელიას ეკონა, ქანდარბ ჩამოვარდაო, მაგრამ საქათმეში ძალიან ჩამობნელდა.

ლანწ! მოისმა ჯონის სმა და მელიას ეკონა თავზე შენი დამეცაო. ეცადა სვრელისკენ გადასტომას, მაგრამ წელი აღარ მიევა. როგორც იყო კიდევ მიეთრა, მაგრამ ამოქოლილი დახვდა. ლანწ! კიდევ, დაიკუნესა მელიამ. დაიკუნესა მთელმა საქათმემ, დაუთხა ქათმები, ჩამოცვივდენ ქანდარბებიდან.

კარვა ხანს ისმობდა უკუნეთ საქათმეში ჯონის ლანწალუწი, კუნჭულებში რიდასიც ფთხრიალი. კუნესა და გძინვა.

ბოლოს ფთხრიალიც შეწედა, ძირს უსულოდ ჩამოვარდა რბაც.

— კიდევ შესვალთ საქათმეში?! გამაცეთ თქვენა, მაგრამ არც ნაკლებ შე დაგინვდით: აუვედრებდა სელჯონიანი კლესი.

## ს ა მ ი გ ლ ა ს ა .



ევჭამეთ მამის ქონება,  
 გავიუბრენით ძმანა,  
 გადავეტყერეთ ერთმანეთს,  
 ვახშირეთ ავის თქმანა,  
 ვლანძღეთ, ვათრიეთ მშობლებიც,  
 დავესპეთ სახლის გზანა.  
 ატირდა დედა მოსუცი:  
 , ვაიო, ჩემი ბრალა,  
 შეგვიტეო ძალა უფაღმა,  
 მწუსრად დანაბა თვალია.  
 გაგვიწერა, დაგვასწეულა  
 სამნივ მოსისსლე მძანა;


მათსოვარ გლახათ დაგდივართ  
 უძღურნი დიდი ხანა;  
 ვტირით, ვლოცულობთ დღე და ღამ,  
 ცოდვა გვაქ მოსანანა.



იღს და გრძლად გადაჭიმულს ჭალას, სადაც ტრედს მარინეს ბუდე ჰქონდა დიდი მდინარე ჩაუდიოდა დასავლეთის მხრით. თვითონ ჭალას შუაზე ჰქრიდა ანკარა, მუდამ წმინდა ზამთარ-ზაფხულ, — ფშა. გაზაფხულიდან დაწყებული ზამთრის პირამდე მდინარე ერთ-თავად მღვრივე იყო, ხოლო ეს ფშა კი სულ წმინდა, ლილის ფერისა. სადაც ჭალა თავდებოდა, ფშაც იქ ერეოდა მდინარეში და იცით ამ დროს ანკარა ფშა რას მოგაგონებდათ? — ზიარებას. ის მდინარე-და? ცოდვილს ადამიანს, რომელიც ზიარებით იკურნავს თავს და იწმინდება ცოდვებისაგან.

ჭალა რაღას გავდა? — უმანკობას. დიად, უმანკობას გავდა, მაგრამ იქ ერთი საშინელი ცოდვა დატრიალდა. ეს შემდეგისთვის დარჩეს. ახლა ისა ეთქვათ, რით იყო ჭალა უმანკო... იქ აუარებელი გუნდი ყვავილთა ყვაოდა და აუარებელი გუნდი ფრინველთა უგალობდა მათ. რამდენჯერ, როცა მთაში დიდი თოვლი მოსულა და შველს გაჭირებია სიარული, ამ ჭალისთვის მიუმართნია და აქ შეჩიზნულა; ბევრჯერ ხარ-ირემს ჩამოუტანია აქ თავისი ბორჯდლიანი რქები. ჭალა ყველას ეგებებოდა, არც ერთს სულიერს და უსულოს, არც ერთს მწერს არ გაუგონია იმისაგან: აქ ნუ ხართ, ჩემს სახლში, გასწით, გამეცალეთო... სხვებს რას ეტყოდა, როცა ჯერ შხამიანს გველს არ ირიდებდა: ისიც ისე ჰყავდა მიღებული, როგორც ყველა სხვა არსება, თითქოს ისიც საჭირო იყო ჭალისთვის. საქმეც ამაშია.

კარგა ხანია, რაც გველი აქ დაბინავდა. იგი თამამად დაცურავდა ხშირ ბალახში. არავისი იმას არ ეწინოდა. ზაფხულობით ერთი ადგილი ქონდა ამოჩემებული, სადაც იმას უყვარდა წოლა და ძილი. ეს ადგილი ცოტა ქვიშრობი იყო, როცა დაცხებოდა, აქ წამოწეებოდა და ცხარე მზის სხივებს მიუპყრობდა გვერდებს. ყველას, რასაც კი ამ ჭალაში ნახავდა, ყველას მოსაწამლავად



ელამ უნებოდა. ყვეაოლებსაც კი — იმ იმედით, ეგები მოესწამლოვო, მოუჭერდა კბილს და შხამს, თავის გესლს გადასხამდა, მაგრამ ისინი არ იწამლებოდნენ, არამედ ისევ ყვაოდნენ. გველს უკლავდა და უშხამავდა გულს. როგორ თუ ჩემი გესლი მაგათზე არა სჭრისო.

ერთხელ ხარ-ირემსაც კი შეეპოტინა ამ განზრახვით, ვითომდა თავის ჭკუაში უნდა მოეწამლა. ხარ-ირემი მაშინ ქალის მწვანე ბალახს ძოვდა და გველიც იქვე ბალახში იყო მოკეცილი, დახვლანჯული, ეძინა. ირმის ფშვინვაზე გველმა თვალები გააჩილა და რა დაინახა სიტურფე, შეენება ტყისა, თვალის ახილებისათნავე გულში გაიფლო: უნდა მოეწამლოვო; თავი აიღო, ენა გამოაგდო და უმარჯვა ირემს ტუჩთან, ენას ასავსავებდა, ვითომ გვალერსებო. მაგრამ ამაოდ დაურჩა ეს სრიკი: ირემმა ტოტი დაუქნია და კინაღამ მოკლა იგი; გველი შეშინებული, როგორც სალა ყინულზე, ისე გასრიალდა ბალახებში და მას შემდეგ ველარც ბედავდა ირემთან აღერსობას.

იქვე, საცა გველს ხშირად წოლა და ნებიერობა უყვარდა, პატარა რცხილის ბუჩქზე ტრედს ბუდე ქონდა. საბრალოს დოლობა მოუცდა და ორი ხუნდი ძორეს გამოჩეკა. დედას თავისი შვილები ძალიან უყვარდა, დიდს აღერსში ჰყავდა ისინი; რამდენს საცოდობაში იყო საბრალო, რომ არ მოეშიებინა იმათთვის; აწყდებოდა აქეთ-იქით, მოქონდა შვილებისათვის ჭია-ლუები. მიუჯდებოდა ბუდის პირზე და ისინიც პირის ვალებით ანიშნებდნენ: გეშიან, დედავო, გვაჰამეო. დედაც საქმელს ნისკარტით უდებდა შვილებს დაღებულს ნისკარტში. გველი ამას ხშირად ხედავდა და გული ბრაზით და შურით ევსებოდა. შურდა, რომ პატარა ხუნდებს ასე ვალერსებოდა და ანებიერებდა, შურდა, რომ, ხუნდებს ვალერსებიან, უყვართ და ის კი ყველას ძულს. შურდა იმათთვის სიცოცხლე. ახლა ეგენიც უნდა დაიზარდნენ, ვითომ ღირსნი იყვენ სიცოცხლისა, და უნდა იფრინონ და იღერინონ ამ ქალაში; მოიცათ მე დაგაღებინებთ თქვენ პირებს, როგორც შეკშენით, — ამბობდა გველი ბრაზ-მარეული. მართლაც, ერთხელ, როცა ტრედი წასული იყო შვილებისთვის საქმლის საშოვნელად და ხუნდები კა მოუთმენლად მოვლოდენ პირდაღებით და წრიპინით იუწყებოდნენ გეშიაო, გველი ამ დროს მიცოცდა ჯაგთან, აიწია თავი მაღლა და ენა გამოაგდო და მიუშვირა ჯერ ერთს, ვითომ ეს ჭიაა: მე დედა შენი ვაწვდი ამ საზრდოს და ჩაასხა შხამი, ახლა მეორეს. ცოტა ხანს შემდეგ მტრედიც

დაბრუნდა, მაგრამ მისი შვილები პირებს ვეღარ აღებდენ, თუმცა ის აწვდიდა, პირში უდებდა საჭმელს. გველი ამ დროს შორი-ახლო-დან უთვალთვალებდა ამ სეირს და სიცილითა კვდებოდა.

ღედა ატრიალებს, აბრუნებს გვერდზე ხუნდებს, შეწუხებულია... გველი იცინის...

ღედა თავზე ევლება ხუნდებს, მაღლა — მოუსვენრად ტოტი-ტოტზე ფრინავს და აცქერდება კვლავ ისევ შვილებს თვალეში, რალაცას მოთქვამს, რალაცას ჟღურტულებს... გველი იცინის.

ღედა წყალზე დაეშვა, ნისკარტით ფშადან წყალი აკრიფა და ხუნდებს ასხამს თავზე... გველი კი იცინის

ხანი გავიდა... პაპანაქება დღე იყო. ბუდეში გუნდი და გუნდი ბუზებისა ირეოდა. . ღედა ტრედი აღარსად ჩანდა ბუდის ახლო-მა-ხლოს.

გველი კი ისევ იცინოდა.

ვაჟა-ფშაველა



## ხალხური ლექსი

(კოტე გელისაგან წარმოდგენილი).



ხლა ელია მელია,  
 სიზმარი ვნახე ბნელია,  
 საქათმოს კარსა მივადექ,  
 დედალი ვნახე ძველია,  
 ისიც ბატონმა წამართვა,  
 შემარბენია სერია.  
 ერთი კაცი წინ შემომხვდა,  
 ერთი მისთანა შემომკრა,  
 ცივათ მომწყვიტა წელია.


გაღმა კაცმა დამინახა,  
 მე ვარ კახია ბერია,  
 ერთი მისთანა ძალლი მყავს,  
 არსად გაუშვას მგელია,  
 ასი უღელი ხარი მყავს,  
 ათასი ჭაკი ცხენია.  
 ერთი წისქვილის თვალი მაქ  
 ათასი კოდი ფქვილია.



## დედამიწის გულის ამბავი

(დასასრული)

## როგორ ჩნდებიან ვულკანები.



ატარა ხანს შემდეგ ყმაწვილები ამერიკის ქარტის შედგენას გაერთევენ. ცდილობდნენ ქარტა მალე აეწყოთ, რადგან დედა დაპირებული იყო ეამბნა მათთვის ვულკანების გაჩენაზე, მაგრამ ყმაწვილებს, ცოტა არ იყოს, ანგარიში წაუხდათ; დედა ყმაწვილებთან შევიდა და უთხრა:

— თქვენ იქნება ფიქრობთ, რომ ახლავე ვულკანებზე დაგიწყებთ საუბარს? არა, თქვენ ცდებით, თუ ასე ფიქრობთ. მე ჯერ მინდა დავრწმუნდე, გახსოვთ, რაც მე გუშინ გიაშბეთ, თუ არა?

აბა მიპასუხეთ შემდეგს კითხვებზე:

რასა ჰქვია ვულკანი?

რას ჰქვია კრატერი?

რა მიზეზისაგან ჩნდება მიწის ძვრა?

რა სიღრმეზეა ამოთხრილი და სად არის ძალიან ღრმა კები?

რა ამოხედება ხოლმე ცეცხლ-მქშიანე მთიდან?

რა ენება მოაქვს ქვეყნისათვის ვულკანს?

რა არის ვულკანური ღველფი?

რატომ სასურველი არ არის ვულკანები ამოივსოს?



როცა ყმაწვილებმა ყველა ამ კითხვებზე რიგიანი პასუხი მიცეს, მაშინ დედამ განაგრძო:

— თქვენის აწყობაღლის ქარტიდან ჩანს, რომ ამერიკა შედგება ორის დიდის ნაწილიდან. ერთს ჰქვია ჩრდილო-ამერიკა, მეორეს სამხრეთ-ამერიკა. ეს ნაწილები ერთმანეთს უერთდებიან ვიწრო ხმელეთით, რომელსაც ეძახიან ყელს. ამ ყელს ახლო, ჩრდილოეთით, მდებარეობს ერთი ქვეყანა, რომელსაც მექსიკას ეძახიან.

ამ ქვეყნის ერთს ნაყოფიერ ველზე 130 წლის წინაღ ხალხი ცხოვრებდა, არხვინად იშენებდა თავისთვის სახლ-კარს, ამუშავებდა მინდვრებს და ამ მინდვრების ნაყოფით ტკებოდა; ერთი სიტყვით, აქ ხალხი ბედნიერი და კმაყოფილი იყო თავის ბედისა.

ამ ხალხს სრულიდაც არ ეშინოდა ეულკანის ამოხეტისა; რადგან გარშემო ვერაფერს საიმისოს ვერ ხედავდა.

ერთს შეენიერს ზაფხულის დღეს მოისმა ქვესკნელიდან გრგვინვა; ამას მოჰყვა რამდენჯერმე მიწის-ძვრა, შემდეგ გაიარა მშვიდად სამმა თვემ და ხალხმა იფიქრა, ახლა კი გვეშველა და უბედურებას გადავრჩითო, მაგრამ მოტყუვდა: გრგვინვა გამეორდა უფრო ძლიერად. შემდეგ დაიწყო ისეთი ხშირი მიწის-ძვრა, რომ პირველსავე დღეს 47-მდის დათვალეს.

ამისთანა მიწის-ძვრა გაგრძელდა 90 დღე; მიწის-ძვრას თან მოჰყვა ქვესკნელიდან საშინელი გრგვინვა; ამ 90 დღეს შემდეგ დედამიწა ერთ ადგილას ბუშტივით გაიბერა; ამ ბუშტს სიმაღლე 70 საყენი გაუხდა; ბუშტის თავი გასქდა და იქიდან ამოსქდა კვამლი და გავარვალეული ქვები. ზარდაცემულმა ხალხმა სახლებსა და უდაბნოდ გადაქცეულს ველებს თავი დაანება და აქეთ-იქით დაიქსაქსა. ახლა იმ ადგილზე ამაღლებულია რამდენიმე ეულკანი; ერთს მათგანს რომელიც ყველაზე დიდია, იერულო ქვია; სიმაღლე ამ ეულკანს 200 საყენი აქვს. მთელი მინდორი ამ ეულკანის გარშემო დაფარულია მრავალი ბუშტებით, რომელნიც დედამიწის ამობერის გამო გაჩნდნენ აქ. იმ ბუშტებიდან ამოდის კვამლი და ორთქლი.

აი, ხომ ხედავთ, ხანდახან, როგორი უბედურება დაატყდებოთ ხოლმე იმისთანა ქვეყნებსაც, სადაც უწინ ეულკანის ხსენება არ ყოფილა. მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ამ გვარმა უბედურებამ ადამიანი შეაშინოს. ის ხელოვნურად სახლდება ეულკანის ახლო, სადაც უფრო ნაყოფიერს ნიადაგსა შოულობს; ნიადაგი აქ უფრო განოყიერებულია ეულკანური ლეველფით; აქ ის იშენებს სახლ-კარს და

მიღვეს ხენა-თესვას; აქაურ მინდვრებში ადამიანი ნახავს საზამთროს, ინდიგოს, რომლიდანაც კეთდება ცისფერი საღებავი და სხვა მრავალს სასარგებლო მცენარეებს.

— განა შეიძლება ვულკანი ჩვენს ქვეყანაში უცებ გაჩნდეს? კითხა დედას მაშომ.

— ნამდვილათ ამის თქმა არ შეიძლება, მაგრამ არც ის იქნება მართალი, რომ ადამიანმა თქვას ამა და ამ ქვეყანაში ვულკანი არაოდეს არ გაჩნდებაო. მე, ეს იყო, გითხარით, რომ ვულკანი იერულო გაჩნდა იქ, სადაც უწინ არც ერთის ვულკანის ხსენება არ ყოფილა.

— დედა, სადაა კიდევ ბევრი ვულკანი?

— ვულკანი მრავალია ამერიკაში. ეს ქვეყანა ყოველ მხრიდან შემოზღუდულია წყლით: მარჯვენა მხრიდან, ანუ აღმოსავლეთიდან იგი ირწყვება ატლანტის ოკეანეთი, მარცხენა მხრიდან, ანუ დასავლეთიდან ირწყვება დიადის ოკეანეთი. სამხრეთ-ამერიკის დასავლეთის კიდევბზე გაკრძელებულია მთები, რომელთაც ეძახიან ანდებს. აი, ამ მთებს შორის ამალგებულია მრავალი ვულკანი. იმათი რიცხვი აქ ორმოცზე მეტია. ყველა ეს ვულკანური მთები ძალიან მაღლები არიან: ზოგიერთს მათგანს თითქმის ექვსს ვერსზე მეტი სიმაღლე აქვს. ამ მთების ახლოს არიან კიდევ სხვა მთებიც, საიდანაც ახლა აღარ ამოქდება ხოლმე ლავა, მაგრამ ისინი თავისი მოყვანილობით ძალიან გვანან ვულკანებს, ე. ი. მათს მწვერვალზე თქვენ ნახავთ კრატერს და გვერდებზე ადვილათ შეამჩნევთ ჩამქრალის ლავის ნაკადულებს. ამიტომაც ადვილი საუბიკრებელია, რომ ოდესმე ეს მთებიც ისე ამოაფრქვევდნ ხოლმე ლავას, როგორც ზემოხსენებული ვულკანები: მაგრამ ახლა ისინი აღარ მოქმედებენ.

ამ გვარ მთებს ეძახიან ჩამქრალ ვულკანებს.

ჩანს ვულკანებიც ადამიანებივით ჩნდებიან ქვეყანაზე, მოქმედებენ და შემდეგ კვდებიან, ანუ ქრებიან.

— დედა, ქვეყანაზე მარტო იერულო გაჩენილა ასე უცებ. როგორც შენ გვიამბე, თუ სხვა ვულკანებიც ასე ჩნდებიან? კითხა მაშომ.

— მართალია, მე მარტო იერულოს გაჩენაზე ვაგვიმართეთ საუბარი, მაგრამ ცეცხლ-მქშინაეი მთები სხვანაირადაც ჩნდებიან; ხმელეთს გარდა, ვულკანი ზღვაშიაც ჩნდება. ამ გვარი მოვლენა ქვეყანაზე მრავალია, მაგრამ მე მარტო ერთს მათგანზე ვიამბობთ. ამ



80 წლის წინათ აზორის კუნძულების მახლობლად ატლანტის ოკეანეს ზვირთებიდან ამოსქდა ორთქლის და კვამლის სვეტი და შემდეგ დაიწყო ამოფრქვევა. ორთქლთან ერთად ამოსქდა სილა და ღველფი. კვამლის ღრუბლებში იკლავებოდა ელვა და ისმოდა საშინელი ჭექა-ქუხილი, თითქო ზარბაზნის სროლა აუტყენიათო. ამ ნაირი მოქმედება გაგრძელდა ხუთი დღე, შემდეგ ოკეანიდან გამოჩნდა კუნძული, რომელიც ირგვლივ რამდენიმე ვერსი და სიმაღლით 80 საჟენი იყო. ვულკანის წვერვალზე გაკეთდა კრატერი, საიდანაც რამდენიმე ხანი მომდინარეობდა ოკეანესაკენ მღულარე წყალი. ამ კუნძულს სახელად საბრინა დაარქვეს; მისი არსებობა ხანგრძლივი არ იყო. რამდენსამე თვეს შემდეგ იმან დაიწყო ნელ-ნელა ქვევით წვევა და ბოლოს სრულიად ჩაიმალა წყალში და იმ ადგილას ზღვას 100 საჟენი სიღრმე აქვს.

— იცი, დედა, მე ძალიან მიხარია, რომ ის კუნძული ასე უცებ გაქრა.

— რათ გიხარია, ნიკო? — კითხა დედამ.

— ის კუნძული რომ ასე მალე არ ჩამალულიყო წყალში, ხალხი ნახავდა მას, მიუახლოვდებოდა, დასახლდებოდა, აიშენებდა სახლკარს, ეკლესიებს, ქარხნებს, და როცა ასე ყველაფერს მოაწყობდა, მაშინ კუნძული წყალში ჩაიმალებოდა და ხალხი ხომ სულ ერთიანად ზღვაში ჩაიღუპებოდა. საშინელება არ იქნებოდა ეს განა!

— ეგ, რასაკვირველია, შესაძლებელია, მაგრამ მაგისთანა უბედურება მოსალოდნელია ყოველის ქვეყნის მცხოვრებთათვის: როგორც კუნძულები, ისე თითონ ის ხმელეთი, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობთ, ერთსა და იმავე მდგომარეობაში არიან. ხმელეთიცა და კუნძულიც ხან ზევით იწევენ, ხან ქვევით, ასე რომ, შესაძლებელია იქ ოდესმე ხმელეთი გაჩნდეს, სადაც ახლა ზღვა არის. ამისი დასამტკიცებელი მაგალითი სამხრეთ-ამერიკაა. ამერიკის დასავლეთის კიდეებზე მთებში უპოვნიათ იმისთანა ქვები, რომლებზედაც ყოფილან იმ გვარი კიბოების ნაშთები, რომელნიც მარტო ზღვაში ცხოვრობენ. ამისთანა მაგალითი კაცს აძლევს საბუთს იფიქროს, რომ ეს ქვები ოდესმე ზღვაში ყოფილან და, შემდეგ მთებთან ერთად ამოწეულან ზღვას ზევით დიდს სიმაღლეზე.

— განა არ შეიძლებოდა, ის ქვები ვისმე ამოეღო წყლიდან და აეტანა იმ მთებზე? — კითხა მაშომ.

— ის ქვები იმოღვნება, რომ პიტალო ქვის მთას მოგაგონებენ: სიგრძით ის ქვები რამდენიმე ათი ვერსია, რამდენიმე საყენი სისქე აქეთ და ზღვას ზემოთ აწეულნი არიან ასს საყენზე მეტი.

ამ სიმძიმე ქვების აწევა ადამიანისთვის განა შესაძლებელია?

— დედა, იქნება იმ ადგილებში ოდესმე ვულკანი იყო და ამ სიმაღლეზე იმან ამოაგდო ეს ქვები? — თქვა ნიკომ.

— მაგრე რომ ყოფილაყო, როგორც შენ ამბობ, მაშინ ქვის მთა პატარ-პატარა ქვებად დაიმსხვრეოდა: ზოგი მათგანი ზევით ამოხტებოდა, ზოგი ქვევით დარჩებოდა, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვამჩნევთ იქ. ის ქვები რომლებზედაც მე თქვენ გესაუბრებით, წყობ-წყობად აწყვიან ეთსა და იმავე სიმაღლეზე. თუ მაინცა და მაინც არა გჯერათ, რომ მთელმა ზღვის კიდე ქვებიანათ შეიძლება აიწიოს, მე გაიამბობთ კიდევე შემდეგ მაგალითს: ამერიკის დასავლეთის კიდეზე არის ქვეყანა, რომელსაც ჩილის ეძახიან; ამ ქვეყანას ადვილათ იპოვი შენს ქარტაზე: ჩილის ქვეყანაში ამ 70 წლის წინათ მოხდა მიწის ძვრა, რას შემდეგაც ზღვის კიდე აიწია ორ არშინზე. ამ დროს ზღვის ფსკერიც ამოიბერა, და, რასაკვირველია, გამოჩნდნ ის დიდრონი ქვებიც, რომელნიც ამ ფსკერზე იყვენ გაწყობილნი. ეს აწეული ადგილი ისეთი დიდი იყო, ომ იმაზე ნახევარი იტალია დაეტეოდა. ამ გვარი მიწის აწევა მოხდა იმავე ქვეყანაში თხუთხმეტი წლის შემდეგაც.

— იქნება ეს მოვლენა ამერიკაში იმიტომაც ხდება, რომ იქ ბევრი ვულკანია და ხშირათ მიწის ძვრა ხდება ხოლმე? — კითხა მაშომ.

— არა, ევროპაშიაც ხდება ამგვარი მოვლენა. ჩრდილო ევროპაში არის ქვეყანა შვეცია, სადაც ვულკანები არ არის და მიწის ძვრაც აქ იშვიათია, მაგრამ შვეციის მთელი კიდე ზევ-ზევით იწევს. ასი წლის განმავლობაში აქ კიდეს აუწევია არშინ-ნახევარზე.

— ამ გვარ აწევას როგორ შენიშნავს ადამიანი?


— აი, როგორ. ზღვის კიდის ქვებზე, სადამდინაც წყალი წვდება, აკეთებენ ქდებს. გავა რამდენიმე ათი წელიწადი და, ქდებს რომ ნახვენ, გამოჩნდება, რომ იგინი წყლის ზედა პირის სისწორეზე კი აღარ არიან, რამდენსამე არშინზე ზევით გამოჩნდებიან ხოლმე. აქედან ის დასკვნა გამოიყვანეს, რომ კიდე ზღვისა აწეულა!

— რა საკვირველი ამბები ხდება ქვეყანაზე! — თქვა ნიკომ. მე არა-

ოდეს არ დავიჯერებდი, რომ ხმელეთს ან აწვეა შეეძლო, ან დაწვეა. დედა, რატომ მაგისტანა მოვლენაზე აქამდის არაფერი გაიმზნია ჩვენთვის?

— ამიტომ, რომ აქამდინ თქვენ გართობილი იყავით მარტო დედოფალასა და ცხენობიას თამაშობაში და ზღაპრების კითხვაში, ქარტის შედგენა კი სრულიადაც არ გიფიქრიათ.

თ. შთავრიშვილი



სან-ბერნარდის ძაღლები.

(თარგმანი)

1



ამა ბერნარდე დე-მანტონმა ცხრა-ას-სამოც-და-ორს წელს ალპიის მაღალ მთაზე \*) აღაშენა წმინდა მონასტერი. რაც ღირსება ქონდა ამ მონასტერს მალე მოეუწინა მთელ ევროპას და ყველა მხრიდან მიდიოდა იქ ხალხი ღვთისა და ხალხის სამსახურისათვის. პირველ ხანებში დიდ გაქირებაში იყვენ წმინდა მამანი, დიდ სიცივესა და სიმშოლს იტანდენ, მაგრამ

ისინი მანც სულით არ დაეცენ, მედგრად და შეუპოვრად ებრძოდენ მკაცრ ბუნებას. ამ მონასტერს უწოდეს აღმშენებელის სახელი, წმინდა ბერნარდისა.

მოკლე ზაფხულში მოუღალავად მუშაუბდენ, რომ დაეცვათ და დაეფარად მონასტერი თოვლის ზეაფებისაგან, რომლებიც ძალიან ხშირია ამ მთებში. ააშენეს კეთიკირის სქელი კედელი, რომელსაც უნდა შეემაგრებინა ზეაფი. ამას გარდა მამა ბერნარდმა ორი წლის განმავლობაში გაიყვანა რამდენიმე ბილიკი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისვლა-მოსვლა.

\*) ალპიის მთები ძვეს ევროპაში, იტალიას; გერმანიას და სფრანგეთს შუა.



ბერების ამ გვარი დაუღალავი შრომის წყალობით მეოთხე წელს მონასტერი წარმოადგენდა შევნიერ თავშესაფარს, რომელიც სავსე იყო ყოველგვარი სურსათით.

## II

ერთხელ, ღამე ვიღამაც დაიწყო მონასტრის ალაყაფის კარების (ჭიშკრის) რახუნნი. ბერებმა გააღეს კარები. კარების გაღება და ორი დიდი ძაღლის ეზოში ყუფით შემოვარდნა ერთი იყო. ძაღლის ხმაზე ყველა ბერები გამოვიდნენ თავიანთ სენაკებიდან და ცნობის მოყვარეობით დაუწყეს სინჯვა ახლად მოსულ კაცს, რომელსაც თან ეს ორი მეგობარი მოჰყვა.

— ძმანო, — თქვა უცნობმა, — მე ვარ გრეგორიო დაზელიოსი; მე ვიყავი ოდესმე მდიდარი და ბედნიერი. ბედმა ყველაფერზე ცარიელი დამსვა... დაგვარგე საყვარელი ცოლი და ქალიშვილი. სიმდიდრეც დამეკარგა, შემრჩა მხოლოდ, აი, ეს ორი მეგობრი, რომელნიც მართალია, მშვიდნი არიან, მაგრამ მაინც პატრონს არა ღალატობენ, თავს არ ანებებენ. თუ შეიძლება, მიმიღეთ მონასტერში, და პატროსან სიტყვას გაძღვეთ, რომ სამი კაცის ტოლას ვიმუშავებ.

წინამძღვარი დაფიქრდა. „ძაღლების მონასტერში შენახვა განაღვთისათვის საამო იქნება?“ — იფიქრა იმან.

— კარგი, დარჩი, — უთხრა ბერნარდმა, — წადი მამაკლიმენტთან: იგი მოგცემს სენაკს ზე ტანსაცმელს. ძაღლებს მე თვითონ ვუშოვი ბინას.

მამა ბერნარდმა დაითხოვა გრეგორიო, თვითონ ალერსი დაუწყო ძაღლებს, ძაღლები შესანიშნავი სილამაზისა და ღონის პატრონი იყვნენ; იმათ თვალებში ნათლად იხატებოდა ჭკუა და გულკეთილობა.

— ღმერთო, შენ შემადლებინე ამ მძიმე საქმას შეძლება! — ბოლოს, დიდ ფიქრს შემდეგ წაიდუღუნა წინამძღვარმა და ისევ დაუწყო ალერსი ძაღლებს, რომლებიც ხელ-ფეხს ულოკავდნენ კეთილ მოხუცს.

## III

დადგა ზამთარი, ატყდა საშინელი ყინვა და ქარბუქი, იშვიათად გაივლიდა კვირა, რომ უბედურება რამ არ დატრიალებული-



ყო მონასტრის მახლობლად: მთაში ან მწყემსი გაიყინებოდა საღმე, ან გზადბნეული მგზავრი ჩაიჩხებოდა ხევში

მამა ბერნარდი, რომე ლიც აქამდის იშვიათად გამოდიოდა თავის სენაკიდან, ძაღლებს რომ მოყვანს, მას შემდეგ ხშირად გადიოდა მონასტრიდან და საღლაც დადიოდა მთელი ღღე. ის გაიყოლიებდა ხოლმე ძაღლებს, რომლებმაც მეტის-მეტად შეიყვარეს თავისი მფარველი.

ბერებო კაი ხანს ვერ მიხვდენ, რა აზრით დადიოდა მათი საყვარელი წინამძღვარი მთელი ღღე: მაგრამ მალე თვით საქმემ გასცა ბერნარდი.

ერთხელ, საშინელ ქარბუქში, წინამძღვარმა გაიყოლა ძაღლები და საღლაც წავიდა. შუალამემდის უტადეს მას ბერებმა, მაგრამ მაინც არსად გამოჩნდა.

შეატყობინეს ეს ამბავი ერთმანეთს და ყველანი ძალიან შეწუხდენ. უცებ შემოესმათ ძაღლების ყეფა, რომელიც იყო უტყუარი საბუთი ბერნარდის მოსვლისა. მთელი კრებული მიცივიდა ალაყაფის კარებს და საკვირველი სურათი კი დაინახა: წინამძღვარს ხელი ეკიდა გაყინული ბავშისთვის, რომელიც ძლიერს მოათრევდა ფეხებს. ძაღლები თითქო შევლოდენ ბავშს სარულში, მის ტანისამოსის კალთაში პირი მოველოთ და მოხდევდენ. როცა მამა ბერნარდმა მოიყვანა ბავში ალაყაფის კარებთან, ბერებმა დაავლეს მას ხელი, შეიყვანეს სენაკში და დაუწყეს მოსუროიერება. ბავში მალე მოვიდა გონს და მოჩჩა.

ახლა ყველაფერი გამოირკვა: მამა ბერნარდი თურმე ძაღლებს ასწავლიდა გზადბნეულთა და გაყინულთა სულიერების ძებნას. ძაღლების წყალობითვე იპოვა იმან ის ბავში და სიკვდილს გადაარჩინა.

ამას შემდეგ მუდამ ღღე გზაენიდენ ძაღლებს საძებნელათ და თან ატანდენ თითო ბერს. ყელზე აბამდენ ან კალათას, ან პატარა ბოქკებს და შიგ უწყობდენ: რომს, ზოგჯელ ზარასაც შეაბამდენ ყელზე ერთმანეთის გასაგონებლად. ზოგჯერ ზურგზე თბილ საბანსაც აკეცდენ, რომ გაყინული შიგ განვეულოიყო

ამ ნაირად ძაღლებმა სიკვდილს ბევრი გადაარჩინეს.

მთელმა ქვეყანამ შეიტყო ძაღლებას ამ გვარი კეთილი მოქმედება. ხალხი ლოცვა-კურთხევას უგზაენიდა ბერებს და შემწეობას აძლევდა.



## V

ერთხელ, შობაღამეს, როცა მთელი კრებული ლოცვაზე იდგა, ძაღლებს აღარავინ გაჰყვა.

— მარტონი გაგზავნეთ, — ბრძანა წინამძღვარმა, — ღმერთმა ხელი მოგვიმართა ჩვენ განზრახულ საქმეში და ახლაც იგივე დაგვირგვინებს ჩვენ ქველ-საქმეს.

მთელი ის დღე ლოცვაში გაატარეს ბერებმა. საღამოთი მარტო ერთი ძაღლი დაბრუნდა. ამ შემთხვევამ ძალიან შეაწუხა წმინდა მამები, დიდხანს უცადეს, მერე წავიდ-წამოვიდნენ თავთავიანთ სენაკებში. მარტო მამა ბერნარდი დადიოდა მონასტრის ეზოში დაფიქრებული და ხან-და-ხან შედგებოდა და ყურს დაუგდებდა ხოლმე.

დილით, სამ საათზე, როცა აღიიონმა აიწია, მონასტერში შემოესმათ ზარის ხმა.

თვითონ წინამძღვარი გაიქცა და გააღო ალაყაფის კარები. მერე რა ნახა? საცოდავთ გაყინულ-გათოშილი პატარა ქალი, რომელიც ალაყაფის კარებთან იდო გაუძრევლად და მის შორი-ახლო დაქანცული ჭკვიანი პირუტყვი იწვა. ძაღლმა ზურგით მოიყვანა პატარა ქალი მონასტრამდის, კარებთან ჩამოიღო ბაეში, ჩამოჰკრა ზარი და თვითონ, მეტის-მეტე დაქანცული, იქვე წამოწვა; ელოდა, რომ გამოსულიყო ვინმე და მიშველებოდა.

ამ ძაღლებს გარდა, წმინდა ბერნარდეს მონასტრის ბერებმა იშვეს ბლომათ ლონიერი. დიდი და სქელ-ბეწვიანი ძაღლები და ასწავლეს გზა დაბნეულთა ძებნა. აი, აქედან წარმოდგა იმ ძაღლების ჯიში, რომელსაც სან-ბერნარდის ძაღლებს ეძახიან\*). ერთმა ამისთანა ძაღლმა ორმოცზე მეტი სული გადაარჩინა სიკვდილს. ბევრი კარგი ამბებია მოთხრობილი ამ ძაღლებზე.


ერეკლე

\*) სიტყვა სან — ნიშნავს წმინდას.

საქართველოს  
საბჭოთაო  
საბჭოთაო  
საბჭოთაო

ჰაერში მოჩვენება.

(ნ. რეზაკინით)



სი წლის წინად ეგვიპტეში ომი იყო. ფრანგები ეომებოდნენ ეგვიპტელებს. ერთხელ, ფრანგების ჯარს უდაბნოზე უნდა გაეყოლოთ. ეგვიპტეში უდაბნო ქვიშიანია. აქ არც წყალია, არც მცენარე. ეს ქვეყანა ძალიან ცხელი ქვეყანაა. ომის დროს აქ ისე ცხელოდა, რომ ჯარის კაცებს სულთქმა უჭირდათ. აგერ მზემ გადინხარა. ჯარის კაცებმა უდაბნოში დიდხანს იარეს. საწყლებს შიმშილი ძალიან აწუხებდათ და შიმშილზე უარესად კიდევ სიცხე და ძნელი სასიარულო ქვიშიანი გზა; წყურვილმა ხომ სულ სული ამოართვა. ბევრმა სიარული ევლარ შეძლო, დაეცა და მოკვდა.

უცებ პატარა გორაკის მახლობლად გამოჩნდა ანკარა წყლით სავსე დიდი ტბა.


ტბის ნაპირზე ჯარის კაცებმა დაინახეს ამწვანებული ბუჩქები, ხეები და ბალახები; ხეების ჩრდილში გამოჩნდნენ თეთრი სახლები.

— აგერ წყალი! წყალია! — შეევირეს გახარებულმა ჯარის კაცებმა, მოიკრიბეს უკანასკნელი ძალა და მოკურცხლეს ტბისაკენ, მაგრამ მათი სიხარული ამაო იყო. აი, რა საოცარი ამბავი მოხდა: საწყალი ჯარის კაცები ცდილობდნენ ჩქარა მისულიყვენ ტბასთან, მაგრამ ტბა ისევ ისე შორს ჩანდა, როგორც პირველ დანახვაზე. სახლები თითქო უკან-უკან იწეოდნენ, ტბაც თანდათან შორდებოდა. ბევრი იარეს, ბევრს ეცადნენ, ტბას მიახლოვებულიყვენ, მაგრამ ვერას

გზით ვერ მიახლოვდნენ. ამის გამო წყურვილმა უფრო შეაწუხა ჯარის კაცები, სიარულიც უფრო გაუჭირდათ.

იმ უდაბნო ადგილას სადაც ჯარის კაცები მიდიოდნენ, არაოდნენ ტბის ხსენება არა ყოფილა და არც მაშინ იყო. ჯარის კაცებმა რაც დაინახეს, ეს იყო მხოლოდ ჰაერში მოჩვენება (მირაჟი). სალამო რომ მოახლოვდა და მზე ჩავიდა, — ტბაცა, სოფელიცა და მწვანე მცენარეულობაც სულ ერთიანად ისე გაიფანტა, როგორც გაიფანტება ხოლმე ღრუბელი. მეორე დღეს, შუადღისას, ჯარის კაცებმა კიდევ დაინახეს ამ გვარივე მოჩვენება ჰაერში.

ამისთანა მოჩვენება ქვეყანაზე ხშირია. ბევრს უნახავს. უფრო ხშირად ამ მოჩვენებას ხედევენ აფრიკის უდაბნოს მცხოვრებნი — არაბები.



დაქანცული მგზავრება ხედევენ ხეებსა და წყალს, მაგრამ ეს წხოლოდ მოჩვენებაა.

მირაჟს ადამიანი ზღვაზედაც ხედავს და ხმელეთზედაც, თბილს ქვეყანაშიაც და ცივშიაც; ეს კია მხოლოდ, რომ მირაჟი მაშინ ჩნდება, როცა ამინდი მშვიდია.

ამ მოჩვენების შესახებ მნახველები საკვირველ ამბებს ლაპარაკობენ. ჩრდილოეთის ზღვაზე მიცურავდა ერთხელ ცეცხლის გემი. დარი მშვიდი იყო. უცებ ცაზე, წყალს ზემოთ, ჰაერში, გამოჩნდა გემი, რომელიც თავის ყველა იალქნებს აფრიალებდა. ამ გემზე ადვილად გააჩნევდით ადამიანებს და ზარბაზნებს, გემი ისე მიცურავდა ჰაერში, თითქო წყალზე მიცურავსო. მეზღვევებს გული გაუსქდათ, ჰაერში მიმავალი გემი რომ დაინახეს. იმათ წინათაც ქონდათ გაგონილი, რომ ჰაერში რაღაც მოჩვენება გემი დადისო და აი, ახლა, მართლაც, თავის თვალით დაინახეს ეს მოჩვენება.

გულ-გახეთქილ მეზღვევებმა გემას უფროსს შეატყობინეს. იმან შეხედა თუ არა ამ ჰაერში მოსიარულე მოჩვენება გემს, მაშინვე მიხედა, რაც იყო.

ეს ჰაერში მოსიარულე გემი გავდა სწორედ იმ გემს, რომელიც იმ მოკლე ხანში შეხედა იმათ. ჰაერში მოსიარულე გემზე სწორედ ის ზედ-წარწერა დაინახეს, რომელიც წინათ შეხვედრილს გემზე იყო. თუმცა ის გემი, დიდი ხანია მოშორდა ამათ თვალის-დან, მაგრამ ჰაერში კი სრული მისი აღმოჭვირვა გამოჩნდა, ისე, როგორც სარკეში, თითქო გემისთვის ცა სარკე ყოფილიყოს.

ეს გემი თითქმის ორმოც-სამოც ვერსზე მოშორებოდა ამათ, ასე რომ ის სრულიად არა ჩნდა, მაგრამ როგორც ეთქვით მისი აღმოჭვირვა კი ჰაერში ცხადად იხედებოდა.

ერთი მხატვარი ამბობს, რომ იმან ზღვაზე მოგზაურობის დროს ცაზე დაინახა მთელი ქალაქი: კოშკები, სამრეკლოები და სახლები. მხატვარმა აიღო და უცებ გადახატა ეს მოჩვენებული ქალაქი. გაქრა ეს მოჩვენება. მხატვარმა განაკრძო მოგზაურობა, იარა რამდენიმე საათი და უცებ, პატარა გორას იქით, დაინახა სწორედ ის ქალაქი, რომელიც რამდენისამე საათის წინათ ჰაერში გამოიხატა და ამან დახატა. მხოლოდ ეს ქალაქი ჰაერში კი არ იყო, დედამიწაზე იყო გამოქიმული.

ზღვაზე მოსიარულენი ამბობენ, რომ გემები ჰაერში ჩანან ხან ყირამალა, ხან სწორეთ, ე. ი. გემის ანძები ხან ზემოდან ჩანან, ხან ქვემოდან. ეს მოვლენა იმიითი აიხსნება, რომ ჰაერი საგნის სახეს სარკესავე-თ უჩვენებს: თუ სარკეს თავს ზემოთ დაიჭერ, მაშინ შენი

თავი სარკეში გამოჩნდება ქვევით, ფეხები ზევით, თუ პირდაპირ გიჭირავს, მაშინ სახეც ისე პირდაპირ გამოჩნდება.

ერთმა ზღვაზე მოსიარულე კაცმა თავის მამის გემი ჰაერში ყირამალა დაინახა, როცა ეს გემი ორმოც ვერსზე იყო მოშორებული.

ჩრდილო-ოკეანეში ერთმა ზღვაზე მოგზაურმა ნახა ამ გვარივე მოჩვენება: უცებ ჰაერში გამოჩნდა მთები, ყინულები, სალი კლდეები და კუნძულები. ყველა ეს საგნები თითქო ზღვას ზემოთ, ჰაერში, არიან ჩამოკიდებულნიო, ისე ჩანდნენ. იმათი სახე ყოველ წამს იცვლებოდა: მთები და ყინულები ხან განიერდებოდნენ, ხან ვიწროვდებოდნენ, ხან ჩამოიწვედნენ, თითქო ზღვაზე დაწოლა უნდათო, ხან ისევ მაღლა ჰაერში იწვედნენ. ნაცრის ფერი კლდეები კაცს სამრეკლოს მოაგონებდნენ, ხან განიერდებოდნენ და მაშინ ციხის სანათურიან კედლებს ემსგავსებოდნენ. ხან გამოჩნდებოდა ხეებითა და ნადირებით სავსე ველები, სადაც აშკარად ხედავდი დათევებს, ძაღლებს და სხ. ნადირებიცა და ფრინველებიც სახეს იცვლიდნენ: ხან აიწვედნენ, ხან ჩამოიწვედნენ, თითქოს ხტუნაობას თამაშობდნო.

სამხრეთ იტალიაში, მესინის ყურეში, მზის ამოსვლის დროს უფრო საკვირველ მოჩვენებებს, ანუ მირაჟებსა ხედავს ადამიანი. უცებ ზღვას ზემოთ, ჰაერში, გამოჩნდება სასახლეები, კოშკები, სვეტების წყებანი, ფანჯრებიანი და ბალკონიანი სახლები, სოფლები, მინდვრები, სადაც პირუტყვების ჯოგები იმწყემსება, ცხენოსნები და ქვეითნი ყველა ეს მოჩვენება ხან უახლოვდება ერთმანეთს, ხან შორდება, ხან უერთდება და მარღად მიდევნ ერთი-მეორეს ზღვას ზემოთ.

ეს მოჩვენება ისეთი საოცარი რამ არის, რომ რამდენიმე საუკუნეა, რაც ხალხმა „თილისმა მორღანის მოჩვენება“ დაარქვა (ფატა მორღანა).

ვისაც ესმის, როგორ ჩნდება ეს მოვლენა, იმისთვის აქაც საკვირველი არაფერია, იმიტომ რომ ის სასახლეები, ის კოშკები და სახლები, რომელნიც ზღვას ზემოთ ჩანან, ნამდვილად არსებობენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი იმყოფებიან დედამიწაზე, — ზღვის კიდვზე და არა ზღვას ზემოთ — ჰაერში.

ჰაერი, რასაკვირველია, გვიხატავს ამ საგნების სახეს, ხოლო ჰაერის მოძრაობა, ანუ ლეღვა, ერთმანეთში რეცხს იმათ გამოხატულებას, როგორც ხედავთ, საქმე აქაც იმაში მდგომარეობს, რომ ჰაერი


საგნების სახეს სარკესავით ხან კარგად და ცხადათ გვიჩვენებს, ხან ცუდათ.

შესანიშნავი მოჩვენება გაჩნდება ხოლმე მთებზე. გერმანიაში არის პატარა მთა, რომელსაც ბროკენი ქეია. ამ მთაზე ბევრი მოგზაური მარტო მისთვის მიდის, რომ ნახოს გასაშტერებელი მოჩვენება.

„ჩვენ დილის ოთხ საათზე გავსწიეთ მთაზე, ამბობს ერთი მოგზაური, — ცა მოწმენდილი იყო. ქვევით, მთის ძირისკენ, ქარს მოქონდა ნახევრად გამჭვირვალი ნისლი. მე გავჩერდი მთის წვერვალზე, ზურგი მზეს შევაქციე და ცას ვუცქეროდი. უცებ ჩემ წინ ჰაერში გაჩნდა უზარმაზარი კაცი — დევ-გმირი. მზე ამ დროს ჩემს უკან იყო და ეს დევ-გმირი ემსგავსებოდა უშველვებელს აჩრდილს. ეს აჩრდილი მთას ზევით ჰაერში იყო ამართული. ამ დროს ქარმა დამქროლა და კინაღამ ქუდი მომტაცა, მე ქუდზე ხელი ვიტაცე, იმ დევ-გმირმაც ქუდზე ხელი იტაცა. ამ დროს მე ჩემი ამხანაგი მომიახლოვდა. ჰაერშიაც იმ დევ-გმირს მიუახლოვდა მეორე დევ-გმირი, ორივე დევ-გმირნი იმეორებდნენ ყველა იმ მოძრაობას, რასაც ჩვენ.

ვინ იყვენ ეს დევ-გმირნი? — ჩვენი აჩრდილნი. ეს აჩრდილნი ჩნდებოდნენ იმ ღრუბელზე, რომელიც ქვევიდან ზევით კედელივით აყუდებულყო, ცოტა ხანს იქით ქარმა დაქროლა და ღრუბელი გაფანტა, მოჩვენებაც უცებ გაქრა. შემდეგ ღრუბელი კიდევ წამოვიდა ქვევიდან და დევ-გმირნი ხელ ახლად გამოჩნდნენ.“


თ. ზიარელი





## ღ ე ჯ ა

(ანდერსენისა)



რთი დედა იჯდა შვილის ახლო და საშინლად შიშობდა, რომ არ მოკლდებოდა. ბავში გაფითრებული იწვა; თვალები სრულიად დაეხუჭა და ისე მძიმედ სუნთქავდა, თითქოს სული ჰხდებოდა; ამ დროს დედა კიდევ უფრო ნაღვლიანად ჩაცქეროდა საწყალ პაწია არსებას.

უეცრად კარები დაარაკუნეს. ოთახში გლახაკი შემოვიდა, რალაც დაფართინებულ ნაბდის ნაგლეჯებში გახვეული.

გარეთ არე-მარე თოვლითა და ყინულით იყო მოფენილი. ქარიც ისე

ძლიერ ჰქროდა, რომ პირს სუსხავდა.

ბერიკაცი სიცივისაგან კანკალებდა და ბავშმაც ამ დროს ერთი წამით მიიძინა. დედა წამოდგა და პატარა ქოთნით ჩაი შედგა ბუხარში გასათბობათ სტუმრისათვის. ბერიკაცი ამ დროს ყმაწვილს უჯდა და არწებდა. დედა იქვე სტუმრის სიახლოვეს იყო და ჩაცქეროდა, ავათმყოფს. ყმაწვილი ძალიან მძიმედ სუნთქავდა; იმის პატარა ხელი დედას თავის ხელში ეჭირა.

— მოხუცო, მითხარი რამე იმედი — უთხრა დედამ ბერიკაცს, — იქნება ღმერთმა არ წამართვას ამის თავი.

თურმე ბერიკაცი თითონ სიკვდილი ყოფილიყო და ისე სა-

შიშრათ გაიქნია თავი, რომ „ჰოც“ გამოდიოდა და „არაც“. დედამ თვალები დაწკურა და ცრემლები დაბა-ღუპით ჩამოცვივდა ლოყებზე... სამი დღე და სამი ღამე იქნებოდა, რაც დედას თვალი არ დაეხუჭა და თავი საშინლად დაუშვიძა. ახლა მას ჩაეძინა მხოლოდ ერთი წამით. მაგრამ ისევ მალე გამოთხიზლდა და აკანკალდა სიცვიისაგან.

— ეს რა ამბავიაო? — კითხულობდა მშობელი და იყურებოდა გარშემო. აღარც ბერი კაცი იყო ოთახში, აღარც ბავში. კუთხეში ძველი საათი უწინდულათვე არაკუნებდა. ამ დროს საათის მძიმე ქვები იატაკზე დაეშვა, რახუნი მოიღო და საათიც დადგა. თავზარდაცემული დედა სახლიდან გამოვარდა გარეთ და მაღალი ხმით უძახოდა თავის შვილს.

ქუჩაზე, შავ-ტანისამოსიანი ქალი თოვლში ჩამჯდარიყო. ქალმა დედას უთხრა:

— ეს არის, ახლა დავინახე, რომ სიკვდილი შენი სახლიდან გამოვარდა და თან ბავში მიჰყავდა. სიკვდილი ქარზე უმაღლესად დაქრის და რასაც ერთხელ მოიტაცებს, არასოდეს უკან აღარ დაბრუნებს.

— მასწავლე, რა გზით წავიდა ის დაუნდობარი და მე ვიპოვნე იმას.


— გზას კი გასწავლი—უპასუხა შეცკაბა ქალმა, მაგრამ, სანამ გასწავლიდე, ყველა ის ლექსები უნდა მიგალობო, რომლებსაც შენ ბავშვს უმღერდი ხოლმე. მიყვარს მე ეგ ლექსები და წინათაც ბევრჯერ მსმენია. მე ვარ ღამე და შენი ცრემლებიც ბევრჯერ მინახავს, როცა შენს შვილს უმღეროდი ხოლმე.

— ყველას გიმღერებ, სულ ყველას—უთხრა დედამ, — ოღონდ ახლა ნუ დამაგვიანებ; მინდა სიკვდილს დავეწიო და ჩემი შვილი ვიპოვნო.

მაგრამ ღამე ჩუმად იჯდა და არას ამბობდა, თითქოს არაფერი ესმისო. მაშინ დედა მოყვა სიმღერას, თან ხელებს იმტერვდა და ტიროდა. ბერი სიმღერები ითქვა აქ, მაგრამ ცრემლები კიდევ უფრო ბერი დაიდვარა. ბოლოს როცა გაათავა, ღამემ მიუგო.

— გასწი მარჯვნივ მწვანე ფიჭვის ტყეში: სიკვდილი ბავშიანა იქითკენ წავიდა.

შუაგულ ტყეში გზა ჯვარედინათ დაუხვდა და დედამ არ იცოდა, რომელი გზით წასულიყო. აქ ეკლის ჩირგვი იდგა, უფოთლო



და უყვავილო; მხოლოდ ზამთარში ხდებოდა ხოლმე ასე, ჩირგვის ტოტებზე ყინულის ლოლუები ეკიდენ.

— სიკვდილს ხომ არ გაუფლია შენს სიახლოვეს ჩემი ზე-  
შით?—ჰკითხა დედამ ჩირგვსა.

— გაიარა, — უპასუხა ჩირგვმა, — მაგრამ არ გეტყვი კი, რომე-  
ლი გზით, მანამ შენ გულზე არ გამათმობ! ვერა მხედვე ვიყინები,  
ლამის ყინულად გადავიქცე.

ეკლის ჩირგვი თავის გულზე მიიკრა დედამ, მიიკრა ისე ძლიერ,  
რომ ჩირგვს შეეძლო ადვილად გალხობა. ეკლები ნესტარივით ჩა-  
ერჭვენ დედის ტანში, საიდანაც კუკურ-კუკურად გამოვიდა სისხლი.  
ჩირგვმა კი ახალი მწვანე ფოთლები გამოუშვა და ყვავილებითაც  
შეიმოსა, თუმცა ცივი ზამთარი იდგა. ასე მხურვალეა მწუხარე დე-  
დის გული! მადლიერმა ჩირგვმაც გზა უჩვენა დედას. 4

მივიდა დედა დაღ ტბასთან, რომელზედაც არც ხომალდი იყო  
და არც ნავი იყო. ტბა არც იმდენათ იყო გაყინული, რომ ყინულზე  
გაველო და არც ისე პატარა იყო, ფრანდ გასულიყო, მაგრამ რაც  
უნდა მოსელოდა, დედა მაინც უთუოთ უნდა გადასულიყო ტბის  
ემორე ნაპირს, თუ თავის ყმაწვილის პოვნა უნდოდა. აი, პირქვე და-  
ემხო და ტბის დაშრობა დაღვეით მოიწადინა; მაგრამ ეს შეუძლებ-  
ელი იყო ადამიანისთვის, თუმცა საწყალი დედა ფიქრობდა სასწა-  
ულებრივ ამის მოხდენასა

— არა, მაგას ვერ შეიძლება! — უთხრა ტბამ. — ისა ჰჯობია,  
ერთად ვიფიქროთ, თუ როგორ მოექცე იქითა ნაპირსა.  
მე მსყვარს მარგალიტის გროვება; შენი თვალეები კი — ორი  
უწმინდესი მარგალიტია და უკეთესი მე არსად მინახავს. თუ იმდენს  
იტირებ, რომ თვალეები გადმოგცვინდე და ჩემს სიღრმეში ჩაეარ-  
დებინ, მაშინ მე მიგიყვან იმ დაღ სახლში, სადაც სიკვდილი ცხოვ-  
რებს, სადაც ის ყვავილებს და ხეებს უვლის; თითოეული ყვავი-  
ლი, თითოეული ხე — კაცის სიცოცხლეა!

— ჰოი, ტბავ, რას არ მოგცემ, რომ მაპოვნინო ჩემი ყმაწვი-  
ლიო! — უთხრა მტირალმა დედამ.

დედა უფრო ძლიერ ატირდა; იმის მდულარე ცრემლებს გად-  
მოჰყვენ თვალეები და ჩაეარდენ ტბაში, სადაც ორ ძვირფას მარგა-  
ლიტად გადიქცენ. მაშინ პირქვე დამხობილი დედა წამოაყენა ტბამ  
და ერთს წუთას გადააცურა იგი მეორე ნაპირს, სადაც განმარტო-  
ბეული და გაუზომავად გრძელი სახლი იდგა. ძნელად გამოიციწო-

ბლით, ტყიანი, მღვიმიანი მთა იყო ეს სახლი, თუ რამე შენობა ოთახებითა; საწყალი დედა კი ველარაფერს ხედავდა: იმან ხომ თვალები გადმოიცივინა ტირილით.

— სად ვიპოვნო სიკვდილი, რომელიც ჩემგან წავიდა და ჩემი შეილი წაიყვანა? — ჰკითხა დედამ.

— სიკვდილი ჯერ არ მოსულა აქა, — უპასუხა მოხუცმა გაჭაღარებულმა ქალმა, რომელიც სიკვდილის სახლს დარაჯობდა; — მაგრამ როგორ მოხვედი აქ და ვინ დაგეხმარა მოსვლაში?

— ღმერთმა მიშველა, — უპასუხა დედამ, — იგი მოწყალეა, და შენც შემიცოდებ. სად ვიპოვნო ჩემი ბავშვი?

— არ ვიცი, — უთხრა ბებერმა, — შენ ხომ მაინც ველარაფერს დაინახე... ბევრი ხეები და ყვავილები დაჭკნა წუხელი. სიკვდილი ჩქარა მოვა ამათ გადასარგავათ. კარგათ იცი, რომ თითოეულ კაცს აქვს თავისი ხე, ანუ ყვავილი ცხოვრებისა. ეს მცენარეები წაჭგავს ყველა დანარჩენებს, მაგრამ მხოლოდ თითოეულს მათგანში არის მფეთქავი გული. ყმაწვილთა გულებსაც შეუძლიათ აკრეთვე ფეთქვა. წადი იქ, შეიძლება გაიგო შენის ყმაწვილის გულის ფეთქვა! მხოლოდ რას მოჰყვამ, რომ ვითხრა, როგორ გმართებს კიდევ მოქცევა?

— მოსაცემი რა მახადია, — უთხრა დედამ, მაგრამ შენი გულისთვის ქვეყნის კიდემდე შემიძლია მივიდე.

— მე იქ რა მაქვს საძებნი, — უპასუხა ბებერმა, — მაგრამ შეგიძლია მომცე შენი გრძელი შავი თმა. თითონაც იცი, რომ თმა შეენიერია და ძალიანაც მომწონს! სამაგიეროდ ჩემ გაჭაღარებულ თმას მოგცემ და ესეც ერთ რამედ ეღირება!

— მარტო მაგას მთხოვ? — უთხრა დედამ — სიხარულით, დიდი სიხარულით მოვართმევ!

და კიდევაც მისცა თავის შეენიერი თმა და მიიღო სამაგიეროდ გაჭაღარებული თმა ბებრისა.

მერმე წავიდენ სიკვდილის თბილ სადგომში, სადაც ყვავილები და ხეები ერთმანეთს გადახვეოდენ. იქ, შუშაბანდში იყო ნახი ზამბახები და ხესავით დადი მრავალ-ფურცლოვანი ვარდები. იქ იზრდებოდენ წყლის მცენარეები, ზოგნი სრულებით ქორფანი, ზოგნი მიმჭკნარნი. მათზე წყლის გველნი წვებოდენ და შავთა კიბოთა ჩაეყარათ კბილები ღეროებში. იქვე იზრდებოდა სანაქებო ბზები, მუხები და ალვის ხეები. ჰყვავდა ოხრახუში და ნარკიზი; თითოეულ

ხეს, თითოეულ ყვაილს თავის სახელი ჰქონდა; თითოეული მათგანი კაცის სიცოცხლე იყო. თვით ადამიანები ისევე ცხოვრობდნენ— ერთი ჩინეთში, მეორე გრენლანდიაში— მთელ ქვეყანაზე. დიდი ხეები პატარა ქოთნებში იდგნენ, ამიტომაც ვიწროთ იყვენ და ქოთნები ძლიერ იჭვრდნენ; აქ პატარა, უსუსური ყვაილებიც იყო, მხოლოდ მსუქან მიწაში ჩანერგულნი და ხავსით შემოსილნი, რომლებსაც სიფრთხილით ეკიდებოდნენ. ყველა ქორთა მცენარის წინ დაიხრებოდა ხოლმე საწყალი დედა და ისმენდა იმათში კაცის გულის ფეთქას; ბოლოს მილიონ მცენარეთა შორის იცნო დედამ თავისი შეილის გული.

— აგერო! — შეჰყვირა დედამ და ვაიწყდინა ხელი პატარა, ქორთა ცოცხისთანა ყვაილისკენ, რომელიც სრულებით ავით იდგა და ერთს მხარეს იყო გადაწოლილი.

— ხელს ნუ ახლებ მაგ ცოცხობანას, — უთხრა ბებერმა, — მხოლოდ მის ახლოს იდექი და, როდესაც მოვიდეს სიკვდილი, რომელსაც ყოველს წამს მოველი, ამ ყვაილის მოგლეჯის ნებას ნუ მიცემ და უთხარი, რომ თუ ამოგლეჯს, მაშინ შენც სხვა ყვაილებს ეგრე მოექცევი. ამითი შეშანდება, ყვაილებისთვის უთუოდ პასუხს აგებს ღმერთთან; არცერთი მათგანი არ უნდა მოიგლიჯოს ღვთის უნებურათ.

ამ დროს ყინვამ წამოუბერა დედამიწაზე და ბრმა დედამაც იგრძნო, რომ ეს ყინვა სიკვდილი იყო.

— როგორ მოაგენ შენ ამ ადგილსა? — ჰკითხა სიკვდილმა. — როგორ მოახერხე აქ ჩემზე ადრე მოსვლა?

— დედა ვარ! — უპასუხა ქალმა.

აი, სიკვდილი წაეტანა თავის გძელი ხელით პატარა ნორჩ ყვაილს; მაგრამ წამსვე გადააფარა დედამ თავისი ხელები ყვაილს, და ისე ფთხილად, რომ არ შეხებია არცეთს იმის ფოთოლსა. მაშინ სიკვდილმა წაუბერა დედის ხელებს და დედამაც იგრძნო, რომ სიკვდილის სუნთქვა ბევრით უფრო ცივი იყო ზამთრის ქარზე, — და დედის ხელები უღონოდ ჩამოეშვენ ძრსა და დადუმდნენ.

— შენ ვერ მომერევი! — უთხრა სიკვდილმა.

— ღმერთი შემაძლებინებს! — მიუგო დედამ.

— მე ვასრულებ მარტო იმას, რაც ღმერთს ნებაეს, — უთხრა სიკვდილმა. — მე ღვთის მებაღე ვარ, მიმაქვს მისი ყვაილები, ხეები და გადაერგამ ხოლმე დიდ სამოთხის ბაღში, უცხო-უცნობ ქვეყანა-

ში. მაგრამ როგორ ჰყვავიან და რა ხდება იქ—ამის თქმის უფლება კი არ მაქვს.

— დამიბრუნე ჩემი ყმაწვილი!—ეუბნებოდა დედა, ტიროდა და ეხვეწებოდა.

ბოლოს, სტაცა ხელი დედამ ორ საუკეთესო ყვავილს და შეყვირა:

— მე დავვლევ ყველა შენ ყვავილებსაც, იმიტომ რომ სასოწარკვეთილებაში მაგდებ

— ხელს ვერ ახლებ!—უთხრა სიკვდილმა.—განა შენი უბედურება არ კმარა, რომ სხვა დედაც შენსავეთ არ გააუბედურო?

— სხვა დედაც!—უთხრა საწყალმა ქალმა, და იმ წამსვე გაუშვა ხელი ორივე ყვავილს.

— აი, შენი თვალები უთხრა სიკვდილმა:—ტბიდან ამოვიღე მე ისინი, სადაც მნათობივით ბრწყინავდნენ—მე არც კი ვიცოდი, რომ ეს შენი თვალები იყო. წაიღე, წინანდელზე უფრო ბრწყინვალენი არიან ახლა ისინი, ჩაიხედე იმ ჭაში, რომელიც ჩვენს ახლოა. მე დაგისახელებ იმ ორ ყვავილს, რომლებიც უნდა მოგეგლიჯა და იმ ჭაში დაინახავ იმათ მომავალს, იმათ კაცობრიულ სიცოცხლესაც; იქ ცხადათ დაინახავ, თუ რა უნდა მოესპო და დაეღუპა შენს ხელებსა.

ქალმა ჩაიხედა ჭაში და აღტაცებით დაინახა, რომ ერთი იმ ყვავილთაგანი მადლით ავსებდა მთელ ქვეყანას, აუარებელს სიხარულსა და ბედნიერებას ჰყენდა თავის გარშემო. დაინახა აგრეთვე მეორე ყვავილის ცხოვრება, რომლის არსებობა სავსე იყო: ზრუნვითა, ნაკლებულობით, ვაი-ვაგლახით და ტანჯვით.

— ერთიც და მეორეც ღვთის ნებაა!—უთხრა სიკვდილმა.

— იმათში რომელი ყვავილია უბედურებისა და რომელი—ნეტარებისა? —ჰკითხა დედამ.

— მაგას ვერ გეტყვი შენ, —უპასუხა სიკვდილმა, —მაგრამ არ დაგიმალოვ, რომ ერთი მათგანი—ყვავილია შენი საკუთარის ბავშვისა, შენ ნახე აქ ხვედრი შენის ყმაწვილისა, მომავალი შენის საკუთარის ვაჟისა!

დედამ ხმამაღლა დაიყვირა შიშისაგან.

— მითხარი, ღვთის გულისათვის; რომელია იმ ორში ყვავილი ჩემს ყმაწვილისა? მითხარი! გაათავისუფლე უცოდველი ყმაწვილი,



დაისხენ ჩემი ბავში ყველა ამ უბედურებისაგან! უმჯობესია წაიკვანო იგი აქედან! წააყვანე სასუფეველსა ლეთისასა! დაივიწყე ჩემი ცრემლები, დაივიწყე ჩემი ვედრება და ყველა, რაც ჩავიდინე

— მე ვერ მიგიხვდი! — უთხრა სიკვდილმა. — რა გინდა, შენი ბავშვის უკან წაყვანა, თუ იმისი გავზავნა ჩემთან ერთათ უცნობ ქვეყანაში?


ღეღა ხელების მტკრევით დაეცა მუხლებზე და მიმართა ღმერთს შემდეგი სიტყვებით:

— ღმერთო, ნუ შეისმენ, როდესაც გთხოვ რასმე შენს უნებურად! რამეთუ აღესილ ხარ უმაღლესი გულ-მოწყალებით! ნუ შეისმენ!..

ღეღამ თავი ჩაქინდრა.

სიკვდილმა კი წაიყვანა იმის ბავში უცხო ქვეყანაში.

ს. ლონლაძე





ლომი და კურდღელი

(იგავ-აჩანს ჯესინგის)

**წ**ოთხ ლომმა ღირსად კახადა და გაიწნო კურდ-  
ღელი.

— მართლა ლომებს მამლის ყვილისა ეშინიათ? კი-  
თხა ერთსელ კურდღელმა ლომს.

— „დიაღ, მართალია უპასუხა ლომმა. — უნდა მოგა-  
ხსენო. რომ უოველ დიდსა და ძლიერ ნადირს ცოტათუ-  
ნი სისუსტე მოდევს. მაგალითად, სწილოს შიშის წარს  
დასცემს ხოლმე ღორის ღრუტუნის“.

— მართლა?.. შეეკითხა კურდღელი. — ჭოო, ხსლს კი  
მივხვდი, რად გვეშინია ასე კურდღლებს ძაღლებისა!

ბ ე ბ ე რ ი მ გ ე ლ ი

(რუსულიდან)

**მ**აბერდა მგელი. კბილები ჩაცვინდა, ღონე მოაკლდა,  
მაგრამ ფაშის მადა კი კარგი აქვს, რა ქნას? რა ილო-  
ნოს, რომ შიმშილით არ მოკვდეს? მეტი ვერაფერი მოი-  
კონა და წავიდა მწუქმსთან.



— „მეგობარო, ნეტა ერთი გამაგებია, რათა ხარო აგრე გამწვრალი ჩემზე? ვითომ რა დავაძავე ამის ფასი? მართალია, ხანდახან ცხვარს გპარავთ, მაგრამ, თქვე დალოცვილებო, ერთი მითხაროთ, მშიერს ჭამა უნდა თუ არა? თუ არა ვჭამე, როგორ უნდა ვიცხოვრო ქვეყანაზე? აბა, ერთი მარჩინეთ, მომეცით ლუკმა და მაშინ ნახავთ, თუ ოდესმე მე თქვენ ცხვარი მოგტაცოთ. ჩემისთანა წყნარი და მშვიდი ცხოველი სულაც არ მოიძევა ქვეყანაზე, როდესაც მამდარი ვარ“.

„ეგ მართალია, მკელო, როდესაც მამდარი ხარ, მშვიდი ხარ, მაგრამ ერთი ეს მითხარი: არის კი იმისთანა დრო და ახმი, რომ შენ მამდარი იყო? შენ და მუნწი ერთხანრები ხარო: არაოდეს არა ხარო მამდარი“.

მკელი მეორე მწეემსთან წავიდა.

— „იცო, მძობილო, რამდენიცხვარეი გაკლდება შენ ჩემგან წელიწადში? ვკონებ, კარგათ უნდა იცოდეს; მაშ, მოდი, ერთა ზირობა შეგვრათ მე და შენ: მამლიე ყოველ წლიე ექვს-ექვსი ცხვარი და, შაბას, შენ შენთვის, მე ჩემთვის, — ახლოსაც კი არ გავივლი შენ ფარესთან; შენც კმაყოფილი დარჩები და მეც; არც მალეების შენახვა დაგჭირდება...“

„ექვსი ცხვარიო!“ განიმეორა მწეემსმა, რას ამბობ, მკელო, ექვსი ცხვარი მთელი ფარა“.

— „მაშ, კარგი, რა გაწეობა, სუთს დაჯერდება“.

„სომ არ გავიკებულხარ? — რავა, როგორ ამბობს ამოდენა ცხვრის მოცემას“.

— „არც ოთხს მომცემ“ ჰკითხა მკელმა.

მწეემსმა სიცილით გააქინა თავი.

— „არც სამს, არც ორს?..“

„არც ერთს!“ გააწვევტინა სიტუვა მწვემსმა, „ნისუ-  
ლელება ხარკი უხადო იმისთანა მტერს, რომლის მოძო-  
რება ისედაც ადვილია“.

მკელმა გასწია მესამე მწვემსთან.

— „მწვემებო, ძალიან ცდებით ეველა მწვემსები, რომ  
ძანებულ ცხოველათ მიგაჩნვიართ. აბა, თითო ცხვარი  
მომეცით და მაძინ ნახავთ, თუ თქვენ ფარებს რაიმე ვნე-  
ბა მოუვიდეთ. თითო ცხვარის მეტს არა გთხოვთ; ამაზე  
მეტი სულგრძელობა კიდევ შეიძლება? აბა რა უნდა იყოს  
ერთი ცხვარი? შენ, ვკონებ, გეცინება?.. რა გაცინე ს?“.

„არაფერი, ისე ჩემთვის ვიცინი“.

„რამდენი წლის იქნები, მკელო?“

„აბა, რა გაკითხებს შენ ჩემს წლოვანებას? რა გინდ  
დიდი ხნის ვიყო, შენი ცხვრის დარჩობას მაინც შევ-  
ძლებ“.

„გული ნუ მოგდის, მოხუცო, ცოტა რომ უფრო ადრე  
მოსულიყავ, კიდევ ჰო. ახლა რაღა? მუხლებში ძალა  
აღარა გაქვს, კბილები ჩაკცვენია, რაღას დააკლებ შენ ჩემს  
ცხვრებს?“

მკელი ძალიან გაჯავრდა, მაგრამ გული მოიბრუნა  
და მეოთხე მწვემსთან წავიდა.

— მწვემსო, გავიგე, რომ შენ ძალდი მოგკვდომია. სელ-  
ახლა ქოფაკის ძებნას, ბარემ მე ამიყვანე; ჩემსავით რო-  
მელი ძალდი მომწვემსავს ჯოგს? მერე იცი, რა გითხრა?  
მე ახლა სულ ეველა მკლებს ავეძალე; აღარაფერი მათ-  
თან საერთო არა მაქვს რა; ამ ნაირად შენი მონა მორ-  
ჩილი შევიქნები.



„პირობას მაძლევ, რომ შენ ჩემი ფარს დაიფარო ნადირებისაკან?“

— სწორეთ.

„ეს კი, მაგრამ, თვით შენგან ვინღა დაიფაროს საწყალი ჩემი ცხვრები? სად გაგონილა, რომ ქურდების მოსაკერებლად ისევ ქურდი დაიყენონ სახლში?“

— ეე! ძმობილო, შენ ფილოსოფიურ სჯას დაადექი. მშვიდობით.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, რა მწარეა სიბერე. ერთ წამს ახალგაზრდათ გადამაქცია და სხვა კი არაფერი მინდა!

ბეკელი წავიდა შესუთე მწვემსთან.

— მიცნობ მწვემსო?

„პირადათ შენ არა, მაგრამ შენისთანებს კი ბევრს ვიცნობ.“

— ჩემისთანებსო, ძალიან ვეჭობ: მე სულ სწავნაირი ბეკელი ვარ. დაახლოებით რო გამიცნოთ, შენ და შენმა ამხანაგებმა, დარწმუნებული ვარ, შემიფარებთ.

— ვითომ რა ხარ ამისთანა?

— რა და ის, რომ არც ერთი ცხვრის დარჩობა მე აღარ შემიძლია, — დავბერდი. თუ სადმე ვნახე ბეკდარი საქონელი, ჰო, ვჭამ ცოტას, თუ არა და ვარ ჩემთვის. მომეცი ნება ხანდახან მოვიდე შენთან და გავიგო, ხომ არა მოგკვდომიარა...

„გახუძდი, გახუძდი, მიაძახა მწვემსმა; რა ნადირსაც ბეკდარი ხორცი უყვარს, ის არც ცოცხალს დახოვავს“

— ერთი უკანასკნელი საშუალება-ღა დამჩენია, თქვა ბეკელმა და წავიდა მეექვსე მწვემსთან.

— მწვემსო, მოგწონს შენ ჩემი ტყავი?

„შენი ტყავი? — ვნახოთ, -- ანა უძავს რა: ჩანს, რომ ძაღლების კბილებს ხშირად არ უნავარდნათ ზედ.

— იცი, მძობილო? — მე მოხუცებაში შევეულ; ჰატარა ხანს იქით კიდევ მოვკვდები; მოდი მარჩინე სიკვდილამდის და ეს ჩემი ტყავი ღმერთმა შენ მოგასმაროს.


„გმადლობ წყალობისთვის, უძახუსა მწუქმსა, მაგრამ რაღა სიკვდილას შემდეგ, ბარემ ახლავე გაიხადე ეგ ტყავი და მომეცი, თქვა ეს და კეტს წამოავლო ხელი.


მკელმა ძლივს დააღწია თავი.

„ოო, თქვე გაუტანლებო, ნებით არ მიძეგობრდებით, მამ კარგი, ახლა ძალას დავადგები, თქვა მკელმა თავის თავად; გასწია მწუქმსებისკენ და შეუვარდა მათ სადგურში. ემაწვილებმა და დედაკაცებმა ერთი წივილ-კივილი შექნეს. მამა-კაცებმა წამოავლეს კეტს ხელი და მკელს სული გააფრთხობინეს.

ეჭ, ვერაფერი კარგი საქმე მოგვივიდა, თქვა ერთმა მოხუცმა მწუქმსმა: ყოველი ღონისძიება მოვუსწეთ საწყალობელ მოხუცებულ ქურდს, რომ სწორე გზაზე დამდგარყო.

ბ. ლომინაძე.





## ანდაზები

(ჩაწერილი კ. გქელიშვილისაგან)

1. უგვარო ცხენსაო, ნუ აქმევ ქერსაო.
2. მოვიდა ძალაო, სამართალი დაიცალაო.

## გამოცანები

არ ვიც არვიც არვიცარა,  
 თხა მიდის ფიცარ ფიცარა,  
 სად მიხვალ შე მოხრუკულო?  
 მე მივალ გამართულთანა.

(წარმოდგენილი სონა ნასყიდაშვილისა)

ერთი რამ უცხო ფრინველი ბუდიდან არის ორისა,  
 მას სანაგარღოთ უყვარდა ქედები მალლა გორისა.

ბოლო კვეცაღმა კაქკაქმა, დაჭრა მშენი და მთვარენი,  
 იმისმა მამიდაშვილმა ზედ მიაკერა ჰარენი.

თეთრი ვარ თეთრად მინდორსა, ვარდივით მოვეფინები,  
 სადაც რომ გამიჭარღება ჯორს და ცხენს მოვეკიდები.

ხალხური ლექსები

(ჩაწერილი დ. ნახუცრიშვილისა)

ღმერთმა აღდგერძელოს კერა,  
იმის მაყურებელი ყველა,  
საკიდელი, საძირკველი,  
სტუმარი და მასპინძელი.

მეზობლობაში არ ვარგა  
მირონ მიღებული,  
ერთხელ მაინც გაილანძღვენ,  
დაირღვევა რჯული.

(წარმოდგენილი თ. რაზიკაშვილისაგან)

მარიამობისთვეშია სიცხე ჩამოვარდა ძნელი,  
ციებაც მაშინ გაჩნდება, ცხელებაც მოყვება ძნელი.  
ენკენისთვე მობძანდება ხილი მოაქვს მეტად ბევრი.  
სიმინდები მოიჭრება, მალლა შედგით თივა, მტკველი.

ჭ ე ა

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

ჩემი გორამდინ არენი უფრო ნიკოაკოს რგებია.  
სამართალი ახ ვინ მომცეს, რა ძნელი გასაგებია!  
ეჭ, მარა გვიან იქნება, გულზე სახმილი მდებია,  
თავი მომკვეთე ძამია, თუ გულის მოსაგებია.

## სამათემატიკო გამოცანა

(წარმოდგენილი ვიაჩესლავ ალშობაისაგან)

ნავში ისხდენ ოც-და-ათი კაცი. თხუთმეტი სპარსელი და თხუთმეტი ქართველი. შუა მდინარეში რომ შევიდენ, დაქროლა საშინელმა ზენა ქარმა და ნავმა წყალში დაძირვა დაიწყო. ამ დროს მენავემ მისცა ნავში მსხდომთ ასეთი წინადადება: თხუთმეტი კაცი მოვაშოროთ ნავს, წყალში გადაეყაროთ და შემდეგ დაუზიანებლათ გავალთ. ამასობაში ქართველთა და სპარსელებს შუა დიდი უთანხმოება ატყდა; ქართველები ამბობდენ: სპარსელები გადაეყაროთ წყალშიო, სპარსელები კი — ქართველებიო. ამ დროს ერთმა ქართველმა თქვა: მე ჩავამწყრივებთ აქ მსხდომთ და დავთელი თხუთმეტჯელ, ვისაც ყოველ ჩამოთვლაზე რიცხვი ცხრა (9) შეხედება, ის მოვაშოროთ ნავსო. ეს წინადადება ყველასაგან იქნა მიღებული. შემდეგ ჩამწყრია ისე, რომ ყოველი რიცხვი ცხრა შეხედა სპარსელს, ასე, რომ როდესაც უკანასკნელად ჩამოთვალა ნავში ერთი სპარსელიც აღარ დარჩენილა. სხვანი კი შევიდობიანათ გავიდნენ მეორე ნაპირას. როგორ უნდა მოეწყო იმ ქართველს ნავში მსხდომნი, რომ ყოველი რიცხვი ცხრა შეხვედროდა სპარსელს?

## 1 აკროსტიხი

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისა)

ზამზახ ყვაილნი და ია ვარდნი,  
 აღარ ამკობენ ტურფათ მდგლოსა;  
 ფერი დაედო ოქროსი ყანებს,  
 ხელ-საყრელ, ჩვენდა სასახლოსა.  
 უხარისთ გლეზთა, მკიან და მიაქეთ,  
 ლეწავენ ოფლით ჩვენ საყელოსა.  
 იგია ჩვენი იმედი მით, რომ  
 არ დაგვილონებს საქართველოსა!..

(წარმოდგენილი მისგანვე)

იმის ტანჯული;  
 და დაჩაგრული,  
 აგერ აჩრდილი გვისაყვედურებს.  
 ვერ გავხარეთ,  
 ის გავამწარეთ,  
 თვით ჩვენი ქცევა გვაუბედურებს.  
 ახ, უგულობავ!..  
 შთამომავლობა,  
 ვიცი, ბოლო ღროს ზიზღით გვიყურებს.  
 იმისი ტკბილი,  
 ლექსები წვრილი,  
 იმ ქართველებო, რა გულს გვიხურებს!!!

შ ა რ ა დ ა

პირველ სამს ასოს მოჰპარავ  
 სიტყვას, რომ ნიშნავს დილის ცვარს,  
 შემდეგი ოთხი ასო კი გავგონებს ჩიტის ციხის კარს.  
 მთელი კი წელში მოხრილსა პურის სამკალსა იარაღს.

რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი ვასილ ნიკოლაძესგან)





**№ IV** კამოცანების ახსნა:

1) კალამი. 2) ფული. 3) ირემი 4) თევზა.

ზმა: ვარსკელავი. ცა. შზე. მთვარე.

აკროსტიხი: ე. ნინოშვილი.

შარადა: მტკვარი.

რეზუსი 1) ძალი ხსენებაზე. 2) დამშვიდდი ღმერთი დიდა.

ტელეგრაფ-გამოცემული ან. თუმანიშვილი-წერეთლისა



# „ჯეჯილი“

წალიწადი მახუთა

გამოდის 1894 წელსაც ორ თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორაც აქამიდს.

„ჯეჯილი“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშოანი და სავარჯიშოანი, სამათემატიკო გამოცანები, იგაეები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ქუწნალიში მონაწილეობის შიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენში საუკეთესო მწერლებმა.

ქუწნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს—3 მან., ტფილისს გარშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის 70 კაპ., ხოლო სხვა ქალაქებში—ქუთაისს ბათუმს და გორში,—75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით. ხელს მოწერა მიიღება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка № 102), „ქართულ სახალხო სამკითხველოში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Большая Водовозная ул., д. № 22 Айвазова)

2) ქუთაისში—ა. ბაქრაძესთან, ღიმ. ბაქრაძის სახლში.

3) გორში—ზ. ღავედოვთან.

4) ბათუმში—მ. ნკოლაძის სააგენტოში.

5) თელავში—მ. სისკარაშვილის ავთიაქში.

6) საჩხერეში—შარამან ჩხეიძესთან.

7) ბაშოში—მს. ამაშუკელთან.

8) შვირილაში—თ. ხუსკივაძესთან.

ფოსტის აღრესი: *Въ Тифлисе, въ редакціи грузинскаго мѣсячнаго журнала „Джеджили“.*